


პროფ. ღ. არაყიშვილი



დასავლეთ საქართველოს  
ხალხურ სიმღერათა  
კილოს ცყობა

• 6 0 4 0 3 6 0 8 0 •  
თბილისი 1954



პრეზ. დ. არაყიშვილი

დასავლეთ საქართველოს ხალხის  
ციმბრერათა კილოს ცეკვა

5

10

გამომცემლობა „ხელოვნება“  
თბილისი  
1954

## დასავლეთ საქართველოს ხალხურ ცილის წუნკა

ჩვენი მუსიკის მულტინების ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს გველა ქართველური ტომის სიმღერების მუსიკალური წყობის დაზუნა. წინანდელ ნაშრომებში ქართული ხალხური სიმღერის შესახებ, ჩვენ ჩვეულებრივად გვერდს ვუხვიდით სიმღერათა მუსიკალურ წყობას. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ჩვენს მიერ ჭერ კიდევ არ იყო დადგენილი ქართულ ხალხურ მუსიკაში სიმღერის კილობი, მათი აღნავობა. ახლა, როდესაც ისინი უკვე დადგენილია აღმოსავლეთ საქართველოს ხალხურ სიმღერაში, ბუნებრივია, რომ დასავლეთ საქართველოს სიმღერათა მიმართაც უნდა გაეწიოთ ეს სამუშაო. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ დასავლეთ საქართველოს სიმღერას ზოგ რაიონში ერთგვარი სხვადასხვაობა ახასიათებს.

დასაწყისისათვის ჩვენ ვარჩევთ იმერეთის — შორაპნის, ქუთაისის და ნაწილობრივ ლეჩეუმის რაიონების ხალხურ სიმღერას, ამასთან, რა თქმა უნდა, ძეველ სიმღერას, რადგან ახალ იმერულ სიმღერაში ფეხი მოიდგა „ურიმანტულმა“ — თავისებურმა გურულმა რელადებმა — რაც არ იყო ძეველ იმერულ სიმღერაში ან ძალიან მცირე და უმნიშვნელო რაოდენობით გვხვდებოდა.

ისე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერა, იმერული სიმღერაც იყოფა ერთგუნდოვან ერთტონალურ, ერთგუნდოვან ორტონალურ და მრავალტონალურ „გრძელ“ სიმღერებად. დავიწყოთ ერთგუნდოვანი ერთტონალური სიმღერებით.

პირველი სიმღერა — „სათამაშო“ (საცეკვაო). იგი იწყება კილოთი, რომელიც შეესაბამება მიქსოლიდიურ კილოს სოლ, გლარე-ანის მიხედვით, მესამე და მეექვეს საფეხურების დადაბლებით, მანში, მეოთხე ტაქტში. შემდეგ, ბოლომდე იგი მიდის ნორმალუ-

რად, დაუდაბლებლად და მთავრდება კადანით VI — VII — I ფაზა  
ფეხსურებით. (იხ. № 9, წიგნში: „ქართული ხალხური სამუსიკო-შეცვალ  
მოქმედება“, გვ. 232).

მეორე სიმღერა — „იავნანა“. ეს სიმღერა პოპულარულია აგ-  
რეთვე აღმოსავლეთ საქართველოშიაც და სრულდება ბაეშვა ინ-  
ფექციურ დაავადებათა დროს. იმერეთში იგი სამ ხმაზე სრულდე-  
ბა, ქართლსა და კახეთში კი — ორ ხმაზე. ამასთან, იმერეთში სიმღე-  
რას სხვადასხვა რიტმი აქვს ( $\frac{5}{8}$ ,  $\frac{4}{8}$ ,  $\frac{3}{8}$ ,  $\frac{2}{4}$ ) და მისი კილო შეესაბა-  
მება ეოლიურ კილოს, ღორიულისაკენ გადახრით (ფა-დიეზის წყა-  
ლობით). აღმოსავლეთ საქართველოში იგი მხოლოდ ეოლიურს შე-  
ესაბამება.

იმერეთ „იავნანას“, შაბლონური ტერცული სვლების გამო,  
როგორც ჩანს, უგვიანესი რედაქცია აქვს. (იხ. № 5, იქვე, გვ.  
229 — 230).

მესამე სიმღერა — „ნადური“. იგი სრულდება ნადის — არტე-  
ლის მიერ მიწის, ვენახესა და მინდერის სხვადასხვა საშუალოთა  
დროს. ნადი ნებაყოფლობით იქრიბებოდა დახმარების აღმოსაჩენად  
რომელიმე მუშავისათვის, რომელსაც არ ჰქონდა საშუალება მარ-  
ტო მორეოდა თავის საქმეს.

ამ სიმღერის ხეთტაქტიანი წინადადება თითქმის უცვლელად  
მეორდება სამჭერ, ყოველთვის სოლ ღორიული კილოს VII საფე-  
ხურზე შეჩერებით.

სიმღერა, უკველად, ორიგინალურადაა აგებული. (იხ. იქვე,  
№ 4, გვ. 224).

ორტონალური სიმღერები. ორტონალურ სიმღერათა ეს ჯგუფი  
რამდენიმედ განსხვავდება აღმოსავლეთ საქართველოს ორტონალურ  
სიმღერათაგან, სადაც სიმღერა ორ ნაწილად, ორ კილოდაა გაყოფი-  
ლი. აქ მეორე ტონალობა ანუ კილო ჩნდება მეტწილად ან სიმღერის  
ბოლოს, ან ზოგჯერ შუაშიც. ამ ჯგუფის პირველი სიმღერა — „სუ-  
რული“ იწყება კილოთი, რომელიც მიქსოლიდიურ მის- შეესაბამება  
და მეცამეტი ტაქტში გადადის ეოლიურ კილოში სი, სადაც უკვე  
სოლს არ უნდა ახლდეს დიეზი: მთავრდება მოულოდნელი კადანით,  
კვიქტობთ — ფრიგიული, ან უფრო — იონიური რე-თი, სადაც ბანე-

ბის სელები საფეხურებით ზევით მიიშართება. (იხ. № 4, გვ. 229, იქვე).

„ჰარი“ — ხმით ტირილი დაკრძალვისას. სამგლოვიარო სიმღერა იწყება კილოში, რომელიც შეესაბამება იონიურ კილოს სოლ, რაც მეშვიდე ტაქტში მოდულირებულია იონიურ კილო რე-ს მეოთხე საფეხურში. შემდეგ კელაც მოდულაცია მიქსოლიდიურ კილოს შესაბამის სოლ-ში და ტემპი პრიმო, დაწყებული ტრიბორდიდან და სამხმოვანებიდან ლა-ზე, კადანის იონიური კილოს სოლ IV საფეხურში. ჩვენ ასე ვფიქრობთ. (იხ. № 6, გვ. 230, იქვე).

სიმღერა — „შელოცვა“. იწყება დომინანტადან რე (ტრიბორდი) და მთავრდება ტონიკით იონიური კილო სოლ-ის მეოთხე ტაქტზე. შემდეგ ეს წინადადება თითქმის უცვლელად მეორდება, მეორეჯერ და მესამეჯერ მთავრდება მოულოდნელი კადანისთ სხვა კილოდან, რაც წინა „სუფრული“ სიმღერის კადანის მიაგვეს (აგრეთვე ბანის სელები საფეხურებით ზევით). (იხ. № 3, 228 გვერდზე, შემდეგ მეორე მხარეს).

„მაყრული“ — საქორწილო სიმღერა, რომელსაც ცხენოსნება ასრულებენ. იწყება მოდერატო, ეოლიურ კილოში მი და მეთორმეტი ტაქტზე გადადის იონიურ კილო დო-ს კადანში (VII — I საფ.).

სიმღერის მეორე ნაწილი იწყება იონიურ კილოში სოლ კრიმან-პერლი (ფორმლაგებით), რაც ჯერ გადადის ეოლიური კილო მი-ს  $\frac{4}{4}$  — აკორდში (5 — 6 ტაქტი), ხოლო შემდეგ უფრო დაშორებით, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, მიქსოლიდიური სოლ-ია, რაც იმავე ნოტებით მთავრდება, რომლებიც იყო წინა კადანში, ე. ი. იონიური კილოს დო. შემდეგ მიდის ალეგრეტო, ისევე აგებული, როგორაც მოდერატო, რაც მთავრდება წინანდელი კადანით. შემდეგ მიდის კიდევ ორი განმეორება, რომელთა შორის უკანასკნელი მთავრდება კადანის მოდულაციით ორ უკანასკნელ ტაქტში, იონიურ კილოში რე. ამ სიმღერაშიაც აგრეთვე დამახასიათებელია კადანში ბანის სელა სეკუნდებით ზევით. (იხ. № 7, 230—231 გვერდზე, იქვე).

„მაყრული“ — საქორწილო სიმღერა, სრულდება ჩვეულებრივ. სიმღერა, როგორც ჩანს, მიქსოლიდიურ კილო მი-ბემოლშია. თუმცა მას არა აქვს რე-ზე ბემოლი. სიმღერის პირველი ნახევარი მთავრდება მოდულაციით მიქსოლიდიურ კილოში რე, რაც მთავრ-

დება შემდეგ კვინტების დამახასიათებელი სცლებით, სეკუნდებით ზევით, ახალი ტონალობის კადანისით. (იხ. № 8, 232 გვერდზე, იქვე).

„ახალი ხელხვავი“. სიმღერა სრულდება სიმინდის გარჩევის დროს. იგი სხვადასხვა ნაკვეთებად იყოფა. პირველი ნაკვეთია მიქსოლიდიდური კილო სოლ, სამი ტაქტი, შემდეგ კი, ბანში, ნოტი იცვლება ფა-დიეზით. მას შემდეგ მიდის ალეგრეტო ეოლიურ კილოში ლა, რაც პირველ ტაქტში ამალლებულია ფა-დიეზით, შემდეგ კი ნორმალურად მიდის. უფრო ქვემოთ-ჩეჩიტატივია იონიურ კილოში სოლ, რაც გადადის 11 ტემპოში მიქსოლიდიურ კილო მი-ს მონაკვეთში, ორი ტაქტი, და მთავრდება ეოლიური კილოთი ლა. შემდეგ ახალი მონაკვეთია მიქსოლიდურ კილოში მი, რაც მოდულირებას ახდენს ეოლიურ კილო სი-ს ტრიხორდში და მიდის შემდეგ ორგმოვანად, პარალელური კვინტებით. შემდეგ მონაკვეთი მიიმართება მიქსოლიდურ კილოში ლა, თავისი IV საფეხურის დასაწყისიდან ორგმოვანებში (ორი ტაქტი) და მთავრდება კვინტის სცლებით.

ასეთია ეს სიმღერა; იგი წარმოადგენს რომელიმაც იმპროვიზაციას ორიგინალურს თავისი სცლებით და ზედმიწევნით საინტერესოს თავისუფალი პარმონიული კომპინაციებით. (იხ. № 233 გვერდზე, იქვე).

„ნადური“ (შორაპნის რაიონის სოფელი დარკვეთი). სიმღერა, მოძახილის შემდეგ, იწყება მიქსოლიდიურ კილოში ლა, რაც შემდეგ მოდულირებას ახდენს ამავე კილოში ფა-დიეზ და 10 ტაქტის შემდეგ დო-დიეზ (ერთი ტაქტი); ამის შემდეგ მოდულაცია ისევ პირველ კილოში და მთავრდება მი მიქსოლიდიურ კილოს კადანისით. (იხ. № 1, 227 გვ., იქვე).

„არნანო.“ ბოლო ხუთი ტაქტიდან სიმღერა მიიმართება მიქსოლიდიურ კილოში მი-ბემოლ, ხოლო შემდეგ ხდება მოდულირება დ. სეკუნდზე ქვევით (ორი ტაქტი), ალბათ ახალ კილოში გადასცვლისას, და მთავრდება ნოტით რე-ბემოლ. სიმღერის მესამე ხმა ფონოგრამის გაურკეცვლობის გამო არაა ჩაწერილი. (იხ. № 2, 224 გვ., იქვე).

„გრძელი მრავალუამიერ“. ალეგრეტომდე სიმღერა მიმდინარეობს მიქსოლიდიურ კილოში მი-ბემოლ. ალეგრეტოს შემდეგ ხდება მოდულაცია მიქსოლიდიურ კილო სოლ-ბემოლში. შემდეგ, მესამე

ხმის უქონლობის გამო, სიმღერის გარევევა არ შეიძლება. (იხ. № 5,  
225 გვ., იქვე).

„აბადელია“. სიმღერის მთელი პირველი ნაწილი მიმდინარეობს მიქსოლიდიურ კილოში სოლ, მეორე კი—მიქსოლიდიურ ფა-ში და მეორე საფეხურის კადანსით მთავრდება. (იხ. № 6, 225-26 გვ., იქვე).

„მრავალუაშიერ“ ძველებური. სიმღერა მოძახილის შემდეგ მიმდინარეობს მიქსოლიდიურ კილოში რე\*, რაც იხრება სოლ-ში, გარდა უკანასკნელი ორი ტაქტისა, რომელთა კილოს ზუსტი გარევევა არ შეიძლება ბანის გაურკვეველი სვლის გამო. შესაძლებელია, რომ ეს დორიულ კილო სი-ს კადანსია. (იხ. № 3, 224 გვ., იქვე).

„მუშურია“. სიმღერა იწყება ეოლიურ კილო ლა-ს VII საფეხურიდან და მეოთხე ტაქტშე გადადის ჭერ დორიულ კილოში ლა, ხოლო შემდეგ — მიქსოლიდიურში სი; შემდეგ პირველდაწყებითს კილოს უბრუნდება და რეჩიტატივის შემდეგ მთავრდება ამავე კილოს კადანსით, ე. ი. ლა-თი. შემდეგ მოდის ალეგრეტო, იმავე კილოში, ბასო რატინატოს სვლებით, მთავრდება ფრიგიული კადანსით სი, მიქსოლიდიურ კილოდან სოლ.

სიმღერა დასასრულს ზედმიწევნით მოგვაგონებს ქართლისა და კახეთის ჰანგებს, რომლებსაც ასრულებენ გლეხები მინდვრის სამუშაოთა შემდეგ შინ დაბრუნებისას. (იხ. № 2, 227—28 გვ., იქვე).

„ალი-ფაშა“. სიმღერა იწყება ეოლიურ კილოში ლა და ოთხი ტაქტის შემდეგ ხდება ერთბაშად მოღულირება ეოლიური კილოს ფა-დიეზ ტრიოხორდში. შემდეგ ამავე კილოს VII საფეხურის აკორდების საში ტაქტია, რომლებიც ახდენენ მოღულირებას ეოლიურ სოლ-დიეზში და მიქსოლიდიურ დო-დიეზში, აგებულნი ჭერ დო-დიეზ, ხოლო შემდეგ რე-დიეზ საორგანო პუნქტებზე. შემდეგ კვლავ მოღულაცია მიქსოლიდიურ კილოში სოლ-დიეზ, რომლის კადან-სითაც მთავრდება სიმღერა; ამასთან ბანები მიღიან საფეხურებით: V — VI — VII და I, რომლებიც წინათ ჩვენ სხვა სიმღერებში გვხვდებოდა. მიუხედავად სიმღერის არა სრულყოფილი ჩანაწერისა (რადგან მასში ბუნდოვანად მბგერი ტაქტები მოიპოვება, სიმღერები

\* დო-დიეზი პირველ ტაქტში შემთხვევათ ნიშნად მიგვაჩნია.

არ თავსდება რიტმულ ჩარჩოებში დაა. შ.), ამ სიმღერის მიხედვით  
მაინც შეიძლება გამოვიტანოთ რაიმე დასკვნები მისი კილოს  
წყობის შესახებ.

სიმღერა ზეღმიწევნით საინტერესოა იმით, რომ აქვს რა მოე-  
ლი რიგი მოდელაციები სხვადასხვა კილოში, ტრიბორდები და  
სეპტეკორდები ქართლისა და კახეთის გრძელი მრავალტონალური  
სიმღერების ანალოგიურად, მას მაინც უნიკალური აქვს თავი-  
სი ცოცხალი იმერული ხასიათი. ეს იმას მოწმობს, რომ იმერული  
სიმღერა, ერთი მხრივ, ახლოა აღმოსავლეთ საქართველოს, მეორე  
მხრივ, — დასავლეთ საქართველოს სიმღერებთან. ჩვენ აქ გვიხდება  
ერთხელ კიდევ იმის გამეორება, რასაც ვწერდით თავის დროშე  
იმერული ხალხური სიმღერის შესახებ, სახელდობრი ის, რომ —  
აქვს რა ორი სტილი და ამით საშუალო მდგომარეობა უჭირავს  
აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ქართველთა სიმღერებს  
შორის, იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ შტოს, რამაც, ამა თუ  
იმ მიზეზთა გავლენით, თავისებური ზრდა და განვითარება განი-  
ცადა". (იხ. სიმღერა № 1, 223 გვ., იქვე).

ა. ბენაშვილის სიმღერათა კრებულშიაც მოიპოვება იმერული  
სიმღერები, მაგრამ, სამწუხაოთა აღაა აღნიშნული, რომელ სოფელ-  
ში სრულდება ისინი. ერთი მათგანია: „ოდელია, ნანა დელა“. სიმ-  
ღერა სრულდება დორიულ კილოში დო. ორმოცი წლის წინ ჩვენ  
იგი მოვისმენია, თუ არ ეცდებით, მელიტონ ბალანჩივაძის ჩანა-  
წერით, ხოლო შემდეგ ნ. ს. კლენოვსკის ჩანაწერითაც, ამ სახით:  
მოძახილი იყო იონურ კილოში დო, ხოლო გუნდი ერთბაშად  
იწყებოდა მიქსოლიდიურ კილოში ლა (კვარტსექსტაკორდში) და  
მთავრდებოდა ამავე კილოს ფრიგიული კადანით. ტექსტი — „დღეს  
მერცხალი შემოფრინდა“ აკაკი წერეთლისა იყო.

ეს სიმღერა ერთ დროს მეტად პოპულარული იყო ქართველ  
ინტელიგენტთა წრეებში და ქართველ სტუდენტთა სალამოებზეც  
მუდამ სრულდებოდა თვით სტუდენტთა მიერ მოსკოვში, ლენინ-  
გრადში, კიევში და სხვა ქალაქებში.

ჭველი სიმღერა იხილეთ კრებულის 41 გვერდზე, ხოლო ახა-  
ლი რედაქციით იგი მოთავსებულია №. ი. ჩხიფვაძის კრებულში  
„სალამური“ № 18, „მერცხალის“ სახელწოდებით.

შემდეგი სიმღერაა „იარაშაიდა“. ეს სიმღერა ოუმცა აღნიშვნულია „კრიმანჭულით“ — რულადებით პირეელ ხმაში, მაგრამ, არსებოთად, „კრიმანჭული“ აქ წარმოადგენს არა კრიმანჭულს, არამედ უბრალო მელოდიურ სვლებს ცალკეულ მარცვლებსა და სიტყვებზე: ჩი, რა, დელა, ოდელა, და სხვა არაფერს.

მოძახილი ამ სიმღერაში იწყებს დორიული კილოს I საფეხურიდან, გუნდი კი III საფეხურის კვარტსექსტაკორდი-დან, მთავრდება ამავე კილოს VI — VII საფეხურის კადანით.

კრებულის ავტორის მიერ, ალბათ, გამოტოვებულია თა სი-ბე-მოლზე აგებულ საორგანო პუნქტში. (იხ. კრებულის 47 გვ.).

„მარიკელა ჯაშის ქალი“ ორხმოვანი, შენაცვლებითი სიმღერაა ეოლიურ კილოში სოლ (იხ. იქვე კრებ. 47 გვ.).

აი, სამწუხაროდ, ყველაფერი, ჩაც მოთავსებულია ამ ძეველძეირის კრებულში.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ მე ბევრი იმერული სიმღერა განვიხილე „ხალხური შემოქმედების სახლში“ დაცულ ფონდში. იქ ახალი ფორმაციის ბევრი სიმღერა აღმოჩნდა, მაგრამ ძეველ სიმღერათა ჩანაწერებიც მოიპოვებოდა. მაგალითად, „თინა“, „მრავალეამიერ“ და სხვ. — ბალანჩივაძისა, „მასპინძელსა მხიარულსა“, „მრავალეამიერ“ და სხვ. — ცაგარეიშვილისა, აგრეთვე კოკელაძის, ბენაშვილისა და სხვა ავტორთა სიმღერები. ისინი იყვნენ ეოლიურ და მიქსოლიდიურ კილოებში, კადანისებით პირეელ და მეორე საფეხურებზე და ფრიგიულში. ზოგიერთი სიმღერა მთელ რიგ კილოებს შეიცავდა, როგორც, მაგალითად შ. მშველიძის მიერ ჩაწერილი „ნადური“, სადაც მიქსოლიდიურ კილოს ცვლიდა ეოლიური, ზოგჯერ დორიული და ა. შ. მაინც ყველა ამ სიმღერაში მიქსოლიდიური კილო სჭარბობდა.

გადადივარ რა ლეჩხუმის რაიონის სიმღერათა განხილვაზე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლეჩხუმელები ძალიან ენათესავებიან რავველებს, ისინი მეზობლად ცხოვრობენ და განუწყვეტელი ურთიერთობა აქვთ; ამიტომ მათი სიმღერები თავიანთი ხასიათით ძალიან უნდა ჰგავდეს ერთმანეთს. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ გულის ტკივილი გამოვთქვათ, რომ ამ რაიონის სიმღერას აქამდე არ ელირა ნამდვილი გამოკვლევა.

მართალია, ჩვენ ჩაწერეთ რამდენიმე ლეჩებური სიმღერა, მაგრამ ისინი ჩაწერილია არა გლეხებისაგან, არამედ ლეჩებურელ პოლიციელებისაგან, რომლებიც თავიანთ მეგობარ გურულ და მეც-რელ პოლიციელთა წრეში ტრიალებდნენ და ამის გამო, უკველია, ამ უკანასკნელთა გავლენა განიცადა ლეჩებურება სიმღერამაც. ამა-ზე მიგვითითებს თუნდაც აკაი წერეთლის ცნობილი ლექსის „საყ-ვარლის საფლავს ვეძებდი“ ნაწყვეტი.

მაინც განვიხილოთ ის მცირე რაოდენობის ლეჩებური სიმღე-რები, რომლებიც ჩაწერილ იქნა ჩვენს შეირ 1908 წელს.

პირველი მათგანია „სათამაშო“. მხედველობაში თუ მივიღებთ სიმღერის ჩაწერის კველა დეფექტს, როგორც, მაგალითად, იმას, რომ ბანი ძლივს ისმის და ა. შ., მაშინაც კი დავინახავთ, რომ სიმღე-რა არ კარგავს თავის წყობას და მიმღინარეობას კილში, რომელიც ფრიგიულ კილო სოლს შეესაბამება. სიმღერა ერთტონალურია და ტაშისკვრის თანხლებით სრულდება. (იხ. სიმღ. № 3, 220 გვ.).

მეორე სიმღერა „სუფრული“. თავის პირველ ტაქტებში იგი არ იძლევა კილოს გარევევის საშუალებას. მხოლოდ მეთერთმეტე ტაქტიდან შესძლებელი ხდება მისი გამოცნობა, სახელდობრ ის, რომ სიმღერა აგებულია ფრიგიულ კილოზე სოლ-დიეზს.

სიმღერა საინტერესოა თავისი ბასო ისტინატური სელებით და ტრიონრდებით. სიმღერა ერთგუნდოვანია.

საინტერესოა აგრეთვე სიმღერა № 1 „მაყრული“, რომელიც სამწუხაროდ, შეცდომებითა ჩაწერილი და ამიტომ იგი აქ არ მოგვ-ჟავს.

შემდეგი სიმღერა — „ბებია“ — მეტად პოპულარული სახუმარო სიმღერაა და გავრცელებულია მთელს იმერეთში. ამ სიმღერის პირ-ველ ნახევარშიაც არ არის ბანი, რასაც ჩვენ კარგად ვიცნობთ. სიმღერა ორტონალურია. პირველი მისი ნაწილი მიმღინარეობს მიქსოლიდიურ კილოში სოლ, ხოლო შემდეგ მიქსოლიდიურ დო კილოში გადადის და, ჩვენი ჩანაწერის მიხედვით, მთავრდება ონი-ურ კილოში სოლ, ნამდვილად კი ეოლიურ კილო მი-თ უნდა დამთავ-რდეს (ქართული კვინტი მი-სი). სახოგადოდ, ეს სიმღერა არა ლეჩებური, არამედ საერთო იმერულია. (იხ. სიმღერა № 4, გვ. 221).

დასასრულ, ყველაზე საინტერესო აღგილი იმ ჯგუფის სიმღერა  
თა შორის, უკველად „საყვარლის საფლავს“ ეკუთვნის. ეს კამბიდება  
რა სავსებით ახალია და აკაკი წერეთლის სიტყვების მიხედვით არის  
შექმნილი. რა არის მასში საინტერესო? ჯერ ერთი, იგი იწყება სა-  
ორგანო პუნქტის ფონზე, მოძახილის შემდეგ, რეჩიტატივით, ორ  
ზედა ხმაში, მიქსოლიდიურ კილოში ფა. შემდეგ, სიმღერა მიიმარ-  
თება მიქსოლიდიურ კილოსაკენ სოლ (ორი ტაქტი) და შემდეგ იმ-  
ნიურ კილო ფა-ში ბრუნდება უკან. ეს ფა შემდეგ საფუძველს წარ-  
მოადგენს მიქსოლიდიურ კილო ფა-სთვის, რომელიც თორმეტ ტაქტს  
იქით კვლავ გადადის იონიურ ფა-ში (მის დომინანტში), პირველ  
ხმაში გურული კრიმანტულის (რულადების) მომენტებით. შემდეგ  
სიმღერა კვლავ გადადის მიქსოლიდიურ კილოში სოლ, პირველ ხმა-  
ში გურულ-მეგრული მინამღერებით (ποπεικι) და, სიმღერის დასა-  
სრული, დასკვნა ხდება იონიური კადანსით ფა, ე. ი. ჩვეულებ-  
რივი მაჟორით.

ამ სიმღერის შექმნა საინტერესოა იმით, რომ, მიუხედავად  
მტკიცე კავშირისა უძველეს კილოებთან, როგორლაც, რეჩიტატივი-  
სა თუ სხვა მომენტების წყალობით, იგი ახლოა ჩვენს დროსთან.  
მაშესადამე, ჯერ კიდევ მაშინ, ორმოცი წლის წინათ, ხალხს შეეძლო  
ახალი ფორმაციის მქონე სამხმოვანი სიმღერების შექმნა და მათი  
შესრულება საკუთარ ქართულ კილოზე. აი, რა არის საინტერესო.  
სამწუხაროდ, ამით გვიხდება საუბრის დამთავრება ლეჩხუმერ სიმ-  
ღერათა შესახებ, რომლებიც დიდ ინტერესს წარმოადგენენ, მაგრამ  
ჯერ არ არიან შეკრებილნი. (იბ. № 5, იქევ).

ჩვენ განვიხილეთ ყოველივე ის, რაც ხელთა გვქონდა. ეს, რა  
თქმა უნდა, სრულებითაც არ ამოწურავს მთელ მასალას, მაგრამ ეს  
მასალაც კი გვაძლევს ჩვენ ამა თუ იმ დასკვნების გაკეთების შესა-  
ლებლობას.

ძელი იმერული სიმღერა იმ გარემოებას ადასტურებს, რომ  
ეს სიმღერა, ისე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერა,  
ერთგუნდოვან ერთტონალურ, ერთგუნდოვან ორტონალურ და  
მრავალტონალურ „გრძელ“ სიმღერებად იყოფა.

რაც შეეხება კილოებს, მათ იგივე კილოები აქვთ, როგორიც  
ყველა ქართველ ტომთა სიმღერებს, ე. ი. როგორც ზევით აღვინიშ-

ნეთ: მიქსოლიდიურ, ეოლიურ, ფრიგიულ, დორიულ და იონიურ კილოთა შესაბამისი კილოები. ბევრი სიმღერა ერთ რომელიმე კილოზეა აგებული, ამასთან არის სიმღერები, რომლებიც ერთ კილოდან მეორეში გადადიან. მაინც, სიმღერაში მიქსოლიდიური კილ სჭარბობს.

გადავდივართ მეგრულ ხალხურ სიმღერათა წყობის განხილვაზე. მაგრამ ვიდრე ამას შევუდგებოდეთ, რამდენიმე სიტყვას ვოტყვით მეგრული ცალფა სიმღერის შესახებ.

ცალფა მეგრული სიმღერა სიმშვერიითა და პოეზიით აღსავს ე შესანიშნავ მუსიკალურ მინიატიურებს წარმოადგენს. ისინი იყოფა: ისტორიულ, სატრაფიალო, ნანასებურ, ყოფა-ცხოვრებითს და სხვა მრავალგვარ სიმღერებზე, რომლებიც ზოგჯერ ამა თუ იმ წესჩერებასთანაა დაკავშირებული. ამ წესჩერებებს რელიგიური ხასიათი აქვთ და შორეულ წარსულში გადავყავართ. ამ კატეგორიის სიმღერათა შორის ცნობილია სიმღერა „შზე შინაო“, რაც ბავშვის დაბადების დროს სრულდება, ან უფრო სწორედ, სრულდებოდა.

ბევრი სიმღერა, თუ მათი უმრავლესობა არა, მიძღვნილია სულიერი განცდებისა და სატრაფიალო მომენტებისადმი. მათი მუსიკალიტიკითა გამსჭვალული. შესანიშნავია მეგრული ნანასებური სიმღერები, რომელთაც მხატვრული ღირსებები ახასიათებთ. ამ სიმღერებს ინტიმური ხასიათი აქვს; ისინი სრულდება შინაურ საოჯახო გარემოებაში, შრომითი ცალფა სიმღერებისაგან განსხვავებით, რომლებიც, განსვენებული ეურნალისტის პავლე აკობიას მოწმობით, ძველ დროს სრულდებოდა სამეგრელოში. ჩვენ მოვცვავს ამგვარი მელოდია „გუთნურის“ სახელწოდებით (იხ. დანართში სიმღერა № 1), რომელიც შეასრულა ჩვენთან აეტორშია დიდი ხნის წინათ და გვარწმუნებდა, რომ ძველ დროს სამეგრელოში მღეროდნენ „ურმულსაც“, რაც არ შემონახულა.

ყველა არაშრომითი სიმღერა სრულდება ჩონგურის, ხოლო ზოგჯერ — ჩანგის აკომპანემენტით, მაგრამ ჩონგურს უფრო ხშირავენ ვიდრე ჩანგს.

დავიწყოთ ანალიზი ცალფა სიმღერებიდან, შემდეგ კი ორხმოვან და სამხმოვან სიმღერებზე გადავიდეთ. ყველა მათ კატეგორიაში, ისე როგორც იმერულ სიმღერებში, ჩვენ შევხვდებით კილოს

წყობას; ჩვენ ამ შემთხვევაში დაგვაინტერესებს იმის გარცვევა, თუ სიმღერათა რომელ კატეგორიებში რა კილობი სჭაბბობდნ.

ვიწყებთ რა ანალიზს № 1 სიმღერისას „მზე შინაო“, ჩექენებების დავთ, რომ იგი გამართულია კილოში მი, რომელიც გლარეანისეულ ეოლიურ კილოს შეესაბამება. ამ სიმღერაში ჩონგურის ტრიხორდული აკომპანემენტი მოწმობს მეგრული სიმღერის პარმონიის მტკიცე კავშირს სვანურ, გურულ, იმერულ და სხვა ქართველურ შტოთა სიმღერებთან. (იხ. სიმღერა № 1 წიგნში „დასავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერა“, გვ. 99).

სიმღერა № 2, „დიდო ღმერთო“ — შეესაბამება ეოლიურ კილოს სოლ, ამასთან იგი რეჩიტატიული ხასიათისაა, სადაც, სოლისტთან უნისონში მცირე გუნდი მღერის (იხ. იქვე № 2).

სიმღერა № 3, „თუ დიდი ღმერთი“ ისევე რეჩიტატიულია, შეესაბამება ეოლიურ კილოს ფა და ისევე მიმღინარეობს გუნდური თანხლებით უნისონში (იხ. იქვე № 3).

სიმღერა № 4, „დუდი ოყვილარიმაფუ“ შეესაბამება ეოლიურ კილოს მი და ისევე სრულდება გუნდის თანხლებით (იქვე, № 4).

სიმღერა № 5, „ვარა ნანი“ — იგივე კილო, ისეთივე შესრულებით (იქვე, № 5).

სიმღერა № 6, „ოროფაი“ რეჩიტატიული სიმღერაა, შეესაბამება იონიურ კილოს სოლ (იქვე, № 6).

სიმღერა № 7, „ვაპ, ლორონთი“ შეესაბამება ეოლიურ კილოს რე, ისე როგორც № 8 „ადამიან კოჩიშ სქუას“ (იხ. № 7 და 8, იქვე).

სიმღერა № 9 „საარშიყო“ — შეესაბამება მიქსოლიდიურ კილოს სოლ.

სიმღერა № 10 „მეგრული არანანუ“ ორჟილოიანი სიმღერაა. მისი პირველი ნაწილი მიმღინარეობს კილოში, რომელიც შეესაბამება მიქსოლიდიურ კილოს რე (4 ტაქტი), შემდეგ გადადის მიქსოლიდიურ კილოში დო (აგრეთვე 4 ტაქტი) განმეორების შემდეგ სიმღერა მთავრდება ეოლიური კილო რე-ს V—VI—I საფეხურების კადანსით (იქვე № 10).

სიმღერა № 11, „მუ ვეიმინა“ იწყება კილოს დომინანტადან, რომელიც შეესაბამება იონიურ კილოს რე და მთავრდება ტრინიკით (იქვე, № 11).

სიმღერა № 12, „მიკეირს“ შეესაბამება ეოლიურ ჟილოს ში (იქვე № 12).

სიმღერა № 13, „სიმღერა“ (უტექსტოდ) კილო შელოდიაზი, როგორც ჩანს, მიქსოლიდიური სი-ს შეესაბამება, აյომპანემენტში კი იონიური კილო მი სჭარბობს, გადახრით შეა ადგილას, მეორე საფეხურში (იქვე, № 13).

სიმღერა № 14, „ფერხული ჩონგურზე“ (უტექსტოდ) შეესაბამება იონიურ კილოს მი, მთავრდება IV საფეხურის კადანსით, ხოლო საგუნდო № 15 შეესაბამება მიქსოლიდიურ მი-ბემოლს; დასაწყისში აქვს ტრიხორდები, ბოლოში კი IV საფეხურის კადანსი (იხ. №№ 14 და 15, იქვე).

სიმღერას № 16, „მელოდია ჩონგურზე“ აქვს ფრიგიული კადანსი კილოსი, რომელიც მიქსოლიდიურ რე-ს შეესაბამება (იხ. იქვე, № 16).

გადავდივართ ჩვენს მიერეე ჩაწერილ მეგრულ ხალხურ სიმღერათა მუსიკალური წყობის განხილვაზე. პირველად შევეხებით სამორჩოვან სიმღერას.

პირველ მათგანს — № 17 „ლეისონ და კირია“ — აქვს კილო, რომელიც მიქსოლიდიურ კილო დო-ს შეესაბამება. კადანსი VII საფეხურისა.

მეორეს — № 18 „ფერხული“ — აქვს პირველ ნაწილში მიქსოლიდიური კილო სოლ, გაგრძელებას კი (სიმღერა № 19) — მიქსოლიდიური კილო დო, თავდაპირველი კილოს კადანში გადას-ვლით.

რაც შევეხება საგუნდო სამხმოვან სიმღერებს, ჩვენ აქაც ვხედებით კილოებს, რომლებიც დანარჩენ ქართველურ შტოთა კილოების ანალოგიურია; ასე, მაგალითად:

1. სიმღერა № 20, „სათამაშო“ — მიმდინარეობს კილოში, რომელიც მიქსოლიდიურ დო-ს შეესაბამება.

2. სიმღერა № 21, „ჩარიჩამა“ გურული სიმღერის სახელწოდების მქონე სიმღერაა. იწყება კილოში (ოთხი ტაქტი), რომელიც მიქსოლიდიურ რე-ს შეესაბამება; შემდეგ ხდება მოდულირება დიდ 2-ზე ზევით, მიქსოლიდიურ კილოში მი, აგრეთვე ოთხი ტაქტი; კიდევ შემდეგ, ტონით ზევით, ეოლიურ კილო ფა-დიეზ ტრიხორდში

კადანსით სოლ-დიეზზე (ფრიგიული კადანსი), შემდეგ კი ბრუნდება ისევ თავდაპირველ კილოში გასამეორებლად. მთელი სიმღერა ტრიბორდული სკლებითაა იყილი და გურული სიმღერა „ჩარიჩა-მას“ ანალოგიურია.

3. სიმღერა № 22, „ფერხული“ — აქვს იონიური კილო სოლ-ის შესაბამისი კილო, რაც მის დომინანტაში გადადის.

4. სიმღერა № 23, „ფერხული“ (მეორე) შეესაბამება დორიულ კილოს დო.

5. სიმღერა № 24, „საცეკვაო“ იწყება მოძახილით დომინანტადან და გადადის იონიურ კილო სოლ-ის ტონიკაზე, შემდეგ ახდენს მოღულირებას დორიულ კილოში მი და ამ კილოს ფრიგიული კადანსით მთავრდება.

6. სიმღერა № 25, „ორი ოდელია“ ორტონალური სიმღერაა. მისი პირველი ოთხი ტაქტი მიიმართება კილოში, რომელიც იონიურ კილო სოლ-ს შეესაბამება, რაც შემდეგ გადადის დომინანტაში რე. შემდეგ მოღულაცია ხდება დომინანტით იონიურ კილოში ფა. შემდეგ წარმოებს მისი მონაცელება პირველ კილოსთან და მთავრდება დორიულ კილო სოლ-ის კადანსით.

7. სიმღერა № 26, „ვადილა“ იწყება ეოლიურ კილოში ლა და შერვე ტაქტიდან იონიურ კილო დო-ში გადადის. შემდეგ სიმღერა გრძელდება ისე, როგორც დასაწყისში, იხრება ერთი ტაქტით დორიულ კილოში სოლ და იონიურ კილო დო-თი მთავრდება.

გადავდივართ ქრისტეფორე გრიზდოვის მიერ შედგენილ მეგრულ სიმღერათა კრებულის განხილვაზე. მიუხედავად იმისა, რომ მასში გვხვდება ქალაქური ელფერის მქონე სიმღერები, ამ კრებულს მაინც თავისი ლირებულება ენიჭება: თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ იქ მოთავსებული სიმღერები ჩაწერილია 60 წლის წინათ, რომ ბევრი ამ სიმღერათაგანი, განსაკუთრებით ცალფა სიმღერათა შორის, უკვე დავიწყებულია, ისინი არავის არ ახსოვს და მათ არც არავინ ასრულებს, მაშინ კრებულის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება. მაგრამ ეიდრე თვით კრებულზე ვილაპარაკებდეთ საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე სიტყვა ვოქვათ მის ცეტორზე.

ქრისტეფორე ნიკოლოზის-ძე გროზდოვი, გასული საუკუნის 90-იან წლებში, ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი იყო. ის იყო მუსიკის დიდად მოყვარული ადამიანი, ქართული მუსიკალური ფოლკლორიც აინტერესებდა. მან შეკრიბა 19 ცალფა და საგუნდო მეგრული სიმღერა და გამოაქვეყნა ისინი კრებულის — „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“ მეოცენამეტე გამოშვებაში, აგრეთვე პატარა წიგნაյის სახითაც გამოსცა ცალკე. მიიღო თუ არა მან სპეციალური მუსიკალური განათლება — ეს ცნობია, მაგრამ მუსიკაში გარკვეული ადამიანი რომ ყოფილა, ეს მეგრულ სიმღერათა მისი ჩანაწერებით ჩანს. გროზდოვს ჰყავდა ქართველი მეუღლე, რომელმაც თავისი მამის, დეკანოზ მრევლიშვილისაგან მემკვიდრეობით მიიღო ითანე ოქროპირის წირვის კახური კილოს ხელნაწერი. ქრისტეფორე გროზდოვი იცნობდა თბილისის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორს კომპოზიტორ ნ. ს. კლენოვსკის, გადასცა მას ეს ხელნაწერი და კლენოვსკიმ იგი ოთხმიანი შერეული გუნდისათვის გამართა.

ეს წირვა ცნობილმა მოსკოველმა გამომცემელმა პ. იურგენსონმა დაბეჭდა. ამის გამო უკრნალ «Русская музыкальная газета»-ს ფურცლებზე დიდი პოლემიკა გაიმართა. მასში 1902-3 წლებში მონაწილეობა მიიღეს: უკრნალისტმა ნ. კომპანეისკიმ, კომპოზიტორმა ნ. დ. კასტალსკიმ და ამ სტრიქონების ავტორმა. შემდეგ, როდესაც ნ. ს. კლენოვსკი მგალობელთა საიმპერატორო კაპელის დირექტორად დანიშნეს პეტერბურგში, მან ქ. ნ. გროზდოვი გაიშვია და კაპელის ინსპექტორად დანიშნა. გროზდოვი მთელი არსებით შეიქრა სასულიერო მუსიკაში. ის კომპოზიტორ კასტალსკის დიდი თაუეანისმცემელი იყო, მიწერ-მოწერა პქონდა მასთან და გადასცა კიდევაც მას ზოგიერთი თავისი ხელნაწერი, მათ შორის, როგორც მა. გონდება, მრევლიშვილისეული ხელნაწერიც კახური კილოს წირვისა. მე ხშირად დავდოოდი ნ. დ. კასტალსკისთან და ვიცოდი საქმის კითარება.

ქ. გროზდოვის სიმღერათა კრებული ახლა უნიკუმს წარმოადგენს, მაგრამ როდესაც ის გამოვიდა — გასული საუკუნის 90-იან წლებში — მაშინაც კი დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ჯერ ერ-

თა — ერებულს პოლიტიკური ელფერი ჰქონდა, რადგან მან ცეკვა-  
ტები მიაწერა არა ქართული შრიფტით, არამედ აყადემიურაზე ტანსა-  
კრიპციის შრიფტით, თითქოს უფრო მეტი სისწორისათვის ფაზეტა-  
კურის მხრივ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერებულს მაინც, მუსიკალუ-  
რი თვალსაზრისით, თავისი ლირებულება ჰქონდა. მას დართული  
აქვს წინასიტყვაობა, რომლის გაცნობა არა ინტერესს მოქლებული.

წინასიტყვაობაში ქ. გროჩდოვი წერს: „ეს სიმღერები მე ჩავ-  
წერე 1898 წლის ზაფხულში, ქუთაისის გუბერნიის სენატისა და  
ზუგდიდის მაზრების სხვადასხვა ადგილას. ამ საქმეში ხალისიანად  
აღმომიჩინეს დახმარება: სახალხო მასწავლებელმა ფ. ხ. აშორიძიამ  
და ქუთაისის გიმნაზიის მოწაფეებმა ქ. ჩაჩიბაიამ და ე. ალშიბაიამ.

მეგრელებს ორი სახის საგუნდო სიმღერები აქვთ: გარევეული  
ტექსტით და უტექსტოდ. უკანასკნელი სახის სიმღერები მარტო-  
ოდენ მინამღერისაგან შედგება. ზოგჯერ ხდება, რომ სიმღერას  
დროს რომელიმე შემსრულებელთაგანი აქსოვს რეჩიტატივით სიმ-  
ღერაში საკუთარ იმპროვიზაციას, მოცემული შემთხვევის შესაბა-  
მისად. თუმცა ეს სიმღერები უფრო საინტერესონი იყვნენ, ამ შემ-  
თხვევაში წმინდა მუსიკალური თვალსაზრისით, და, უმთავრესად  
ძველი კილოგრამის (ხაზგასმა ჩენია) შემცველი არაჩევეულებ-  
რივად თავისებური პარმონიზაციის მხრივ, ისინი ჯერ არ შედიოდნენ  
ჩემი ამოცანის სფეროში: ჯერჯერობით მე შევჩერდი გარევეული  
ტექსტის მეონე სიმღერებზე, რომებიც უფრო მრავალმხრივ ინ-  
ტერესს შეიცვენ.

ცველა ერთხმიანი სიმღერა სრულდება „ჩონგურის“ აკომპანე-  
მენტით; ეს ისეთივე ხალხური საქართველო (რუსული ბალალიის  
მსგავსი) მეგრელებსა და გურულებს შორის, როგორც ეგრეთ წოდე-  
ბული „თარი“ ქართლელთა და სომხეთა შორის. ჩონგურს აქვს აბ-  
რეშუმის ოთხი სიმი, რომელთა შორის მეორე ერთი მესამედით მოკ-  
ლეა დანარჩენ სამხე და დაკერის დროს იმავე სიმაღლეზე ყლერს,  
როგორჩედაც სხვა სიმები, მიუხედავად იმისა — რა გადასცლებიც  
უნდა გავეთდეს მათზე. წყობის სიმაღლე სხვადასხვაა: ყოველი მომ-  
ღერალი ამ მხრივ პირად გემოვნებასა და ხმას ეყრდნობა. თვით  
წყობა ორი სახისაა. ერთი მათგანი ასეთია: დავუშვათ, მეოთხე სიმი  
არის სოლ, შესამე იქნება — სი, პირველი — ჩე (2, 12, 13, 15, 17

(№ 6-ში), ამასთან მეორე სიმი, უნისონში მესამე სიმთან, ოქტავით უნისონში მეოთხესთან, ოქტავით მაღლა (№ 4-ში). მეორენაირი წყობა ასეთია: მეოთხე სიმი — სოლ, მესამე — ლა, პირველი — ჩუ (№ 6-ში), ამასთან მეორე სიმი, უნისონში მესამე სიმთან, ოქტავით მაღლა (№ 18-ში).

ბგერების ე. ი. ხმებისა და აკომპანემენტის ჩაწერის დროს, მე აღვნიშნავდი მხოლოდ იმას და იმ სახით, რაც და რა სახითაც გავი-  
გონე; არ მიმიცია ჩემი თავისიათვის რაიმეს მოკლებისა და მომატე-  
ბის ნება. ამრიგად, თუ იმ მომღერლებს, რომლებიც მე ხელთ მომ-  
ხვდნენ, ნებსით თუ უნებლივ, შეკვენდათ თავიანთ შესრულებაში  
რაიმე დამახინჯებანი, უეჭველია, ეს დამახინჯებანი ჩემს ნაწერ-  
შიაც შევიდა. აღნიშვნები: „ქალთა გუნდი“, „მამაკაცის ხმა“ მიგვი-  
თთებენ არა სიმღერას თავისებურებაზე, აუცილებლად გავთა ან  
ქალთაგან მათ სავალდებულო შესრულებაზე, არამედ იმაზე, თუ  
ვისი შესრულებით მომიხდა მე მათი მოსმენა”\*...

ასეთია საყურადღებო შენიშვნები ამ წინასიტყვაობაში. ამის შემდეგ შეეუდგეთ ქრ. გროზდოვის მეგრულ სიმღერათა კრებულის განხილვას.

კრებულში 18 სიმღერაა, თუმცა აღნიშნულია 19. საჭმე ისაა,  
რომ მეშვიდე სიმღერაში (ლუტუ აფაქიას სიმღერა) ნოტები არ  
არის, მარტო ტექსტია. ამრიგად, ცალფა სიმღერა ნოტებით კრე-  
ბულში ათია, საგუნდო კი რეა.

ცალფა № 1 „იავნანა.“ სიმღერა უაკომპანემენტოა, მიმღინარე-  
ობს მინორულ ტრიზორდში ლა.

სიმღერა № 2. „დარიგება.“ სიმღერა მიმღინარეობს კილოში,  
რომელიც შეესაბამება მიქსოლიდურ კილოს მი, სოლ ნოტის შე-  
ცვლით (ბეკარით) მომღერლის პარტიაში, მესამე ტაქტში. იგი აგ-  
ძულია ორ საფეხურზე აკომპანემენტში: კვარტსექსტაკორდი IV  
და 1 საფ. ორი უკანასკნელი ტაქტი მეორდება, როგორც დასაწყისი,  
უსიმღეროდ.

\* ქრ. გროზდოვის მეგრულ ხალხერ სიმღერათა წინასიტყვაობიდან, ქუთაის,  
30 იანვარი, 1890 წ. „Сборник материалов для описания местностей и гла-  
зен Кавказа“. Вып. 18, 1894 г.

სიმღერა № 4 „დამხრჩებალის სიმღერა“ აგებულია კილოშე, რომელიც შეესაბამება მიქსოლიდიურ კილოს ოე, IV საფეხურულის კვარტსექსტაკორდზე და 1 საფეხურის სეპტაკორდზე. დასტანდული ისეთივეა, როგორც დასაწყისი.

სიმღერა № 6 „გლეხთა ჯანყის სიმღერა“ რენიტატიული ხასიათის სიმღერაა, იგი აგებულია Basso ostinato-ს სახით კილოში, რომელიც ლა დორიულ კილოს შეესაბამება, კადანსით II საფეხურზე.

რაც შეეხება ნაწყვეტებს № № 12 და 13, პირველი, ისე როგორც მეორე, აგრეთვე რენიტატიულია: პირველის კილო მიქსოლიდიურ სოლს შეესაბამება, მეორე კი იონიურ ლა-ბემოლს. ორთავეს ბასო-ოსტინატური აკომპანემენტი აქვს.

სიმღერა № 15 „სიყვარული“ როგორც ჩანს ქალაქურია, როგორც მელოდიის ცვლილებით (დო-დიეზ), ისე ჰარმონიისა: ტონიკა — დომინანტა იონიური კილოსია.

რაც შეეხება სიმღერა № 17-ს, „სიყვარულს“, მას ისეთივე ჰარმონია და კილო აქვს, როგორც № 15, მაგრამ რენიტატული ხასიათისაა და აკომპანემენტში ბასო-ოსტინატური მოძრაობა ახასიათებს.

სიმღერა № 16 „სიყვარული“ გაბმული სიმღერაა, იგი აგებულია კილოში, რომელიც ეოლიურ კილო ლა-ს შეესაბამება, კადან-სით VII საფეხურზე. სიმღერა ოთხტაქტიანია და მისი აკომპანემენტი სრულდება ერთნაირად, უცვლელი სახით, როგორც სიმღერის დროს, აგრეთვე უსიმღეროდაც.

სიმღერა № 18 „სიყვარული“, აქაც სიმღერის დროს და უსიმღეროდაც ერთნაირ აკომპანემენტს ასრულებს ჩონგური; კილო უნდა ვითიქროთ, შეესაბამება იონიურ კილოს სოლ, ამასთან, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, აკომპანემენტი ბასო-ოსტინატურ ხასიათს ატარებს და კადანსს ჩევნის ფიქრით აქვს მინამღერი არიალი, რაც უმეტეს შემთხვევაში ალმოსავლეთ საქართველოს სიმღერაშია მიღებული და სამეგრელოში ალბათ შემთხვევით მოხდა.

ამრიგად, ქრ. გროზდოვის მიერ ჩაწერილი ცალფა სიმღერები იყოფა რენიტატიულ და გაბმულ სიმღერებზე და ზოგ მათგანს ქალაქური ელფერი აქვს, ისე, როგორც სიმღერა № 15-ს.

გადავდივართ საგუნდო სიმღერებზე. ისინი სულ რვაა და ჭალთა და ვაეთა სიმღერებზე იყოფა. მათ შორის ოთხს ქალთა გუნდი ასრულებს, ოთხს — ვაებისა. ვაეთა სიმღერებიდან „ლაშერული“ (სიმღ. № 3), „აკა სირევიშო“ ჩაწერილია ქრ. გროზდოვის მიერ სამწილადი ზომით — დასაწყისში, შემდეგ კი — შერეული ზომით. იგი ი. კარგარეთელის კრებულში მოთავსებული სიმღერა „ჯგირი ჯგირიშოს“ („კარგი კარგს“) ანალოგიურია და ხუთწილადი ზომითაა ჩაწერილი. ორწილადად იგი სრულდება აქამდე, სუფრასთან, თამადის მიმართ საყვედურის ტექსტით („თამადაო ჩანჩალაო, ვაი, ვაი“).

ქრ. გროზდოვის ჩანაწერში აღნიშნულია სიმღერის წარმოშობის დრო — 1887 წელი, როდესაც ამიერკავკასიის მოსახლეობაში საერთო სამხედრო ბეგარა შემოილეს. აეტორის სიტყვით სიმღერა იმდენად პოპულარული იყო სამეცნიეროში, რომ თითქმის ყველა საგუნდო სიმღერები განდევნა ხმარებიდან.

შემდეგი სიმღერა (№ 8) „ნაადრევი ზამთარი“, ჩეენი აზრით, უფრო სვანურ ან რაჭულ სიმღერას წააგავს, ვიდრე მეგრულს. ას უკანასკნელ სიმღერათა ბანი უფრო მოძრავია. ყოველ შემთხვევაში სიმღერას აქვს ისეთი კილო, რომელიც სოლ მიქსოლიდიურ კილოს შეესაბამება და ამავე კილოს ფრიგიული კადანი აქვს. შემდეგ, სიმღერა № 10 „სუფრული“ ასევე ემსგავსება რომელიმე სვანურ სიმღერას, ვიდრე მეგრულს, რასაც მოწმობენ ტრიხორცები კვინტურ წყობებში და კვარტული ნახტომები უნისონში, კადანისში. სიმღერის კილო ეოლიურ დო-ს შეესაბამება.

სიმღერა № 11 „სუფრული შაირები“ იწყება დომინანტადან და მთავრდება იონიური კილო დო-ს ტონიებით.

ქალთა საგუნდო სიმღერებიდან № 5 „ტუსალის სიმღერა“ ქალაქური წარმოშობის ახალი სიმღერაა, ახალი თავისი შაბლონური ტერცული სვლებით და ჰარმონიით. მისი კილოა თანამედროვე სოლ-მაჟორი, ე. ი. იონიური კილო.

სიმღერა № 9 „დედა და შეილი“ აგრეთვე ახალ მოვლენას წარმოადგენს; პირველ ნაწილში იგი „ევროპიზებულია“, მის მეორე ნაწილს ეროვნული კოლორიტი აქვს მიცემული, მესამე კი რეჩიტატივით სხვადასხვანაირდება. სხვათა შორის, მეორე ნაწილის მელოდია გამოყენებული აქვს მელიტონ ბალანჩივაძეს ოპერა „დარე-

ჯან „ცბიერში“ მეორე მოქმედების ქალთა გუნდში. საზოგადოდ, სიმღერა უკვეელად საინტერესოა, როგორც ახალი მოვლენა შესრულოც სოლ-მაჟორია.

სიმღერა № 14 „სიყვარული“ აგრეთვე ქალაქერი წარმოშობისაა, რაზედაც მიგვითითებს მესამე ხმის სვლები სიმღერის პოლოს. იგი იწყება სი-ბემოლ მაჟორში და ახდენს მოღულირებას ფა-მაჟორულ კადანსში.

სიმღერა № 19 „სიყვარულის სიმღერა“ („სკან სანთელო“) იწყება ისე, როგორც სტუდენტთა რომელიმე სიმღერა და დასასრულამდე ორი ტაქტის შინ გადადის ქართულ ფრიგიულ კადანში, რაც განსაკუთრებით საინტერესოა. სამწუხაროდ, სიმღერა ჩვეულებრივი ევროპული კადანით თავდება.

საერთოდ, ქალთა ყველა საგუნდო სიმღერა წარმოშობილი აღმოჩნდა უსათუოდ საინტერესო მოვლენის შედეგად, როგორიცაა ძეველი კულტურის ახალთან შეტაკება. გასული საექუნის 90-იანი წლები უნდა ჩაითვალოს იმ მომენტად, როდესაც სამეგრელოში ახალი სიმღერების შექმნა დაიწყო.

ამრიგად, მეგრულ საგუნდო და ცალფა სიმღერებშიაც, ქრ. გრიხლოვის კრებულის მიხედვით არსებულ მცირე გამონაკელისს გარდა, ასევე მოხაზულია სიმღერების კილოთა სტრუქტურა. კილოთა ეს სტრუქტურა ისეთივეა, როგორც ყველა ქართველურ შტოთა სიმღერების კილოს სტრუქტურა. მეგრული სიმღერების ტრიხორ-დული ჰარმონიები კი აკმპანემენტებში უფრო უახლოედებიან დასავლეთ საქართველოს: იმერთის, გურიის, რაჭისა და სვანეთის სიმღერათა ჰარმონიებს. ქართლისა და კახეთის სიმღერებში ისინი უფრო იშვიათად გვხვდება.

ჩვენ განვიხილოთ აგრეთვე რამდენიმე ათეული მეგრული სიმღერა „ხალხური შემოქმედების სახლში“ დაცული მასალიდან, გრ. კოკელაძის ჩანაწერებით. ამ სიმღერათა უმეტესობა შესრულებულია ამა თუ იმ ადგილობრივი საკოლმეურნეო, ეთნოგრაფიული და სხვა გუნდების მიერ, ადგილობრივსაეუ საგუნდო მუშაოთა ძალებით. მაშესადამე, ეს სიმღერები შესრულებული იყო არა უშეალოდ გლოხების მიერ, არამედ ორგანიზებული გუნდებით, მაგრამ მაინც ბევრმა მათგანმა, როგორც, მაგალითად, „სისა ტურამ“, „ჩელამ“,

„წვეალებური სიცოცხლემ“ და მრავალმა სხვებმა არ დაკარგა თავისთ  
სიმშვენიერე და ორიგინალური იქნი შეინარჩუნა. მათში ახალი  
იყო ის, რომ ბევრი სიმღერა ზოგჯერ შესრულებული დამტონინდა  
სოლისტებით გუნდის ფონზე, ან ტრიოს მიერ და სხვა, რაც სიმღე-  
რის ახალ ფორმას, მის ახალ რედაქტირას მოწმობს.

საერთოდ, ჩვენს მიერ გადათვალიერებული ყველა სიმღერა  
მოწმობდა მათ მტკიცე კავშირს ძველ სიმღერებთან, მათ ჰარმონი-  
ებსა და კილოებთან, რომელთა შორის იყო კილოები, რომლებიც  
შეესაბამებოდნენ: ეოლიურ, ფრიგიულ, ღორიულ, მიქსოლიდიურ  
კილოებს, უმთავრესად ფრიგიული და სხვა კილოების კადანსებით,  
რომლებიც ზოგჯერ ერთმანეთს ცვლიდნენ.

მანც, ეს ახალი სიმღერები მოითხოვენ თავიანთ გამოკვლევასა  
და გულდასმით განხილვას, რაც ჩვენი მუსიკისმულენობის მორიგ  
ამოცანას წარმოადგენს.

მიუხედავათ იმისა, რომ ამ გუნდებში სრულდება გადამუშავე-  
ბული ძველი სიმღერები, ამ გადამუშავებაში შეტანილია ახალი  
მომენტები, რომლებიც მოწმობენ სიმღერის რომელიღაც მოძრაო-  
ბას, მის ამა თუ იმ ახალ ფორმებზე, რომლებიც ჩვენს დროს წარ-  
მოიშვნენ. მაგრამ ეს სხვა თემაა.

### გურულ ხალხურ სიმღერათა კილოს წყობა

როგორც წინათაც აღნიშნავდით, ქართული ხალხური სიმღერა  
ზედმიწვენით საინტერესოა მეცნიერებისათვის. რად ღირს მარტო  
მისი პირველი ხმის განვითარება სამხმოვანებაში, თუ არას ვიტყ-  
ვით მეორე ხმაზე. სეანურ, ნაწილობრივ რაჭულ და იმერულ სიმღე-  
რებში, მას აქვს განვითარების ერთი ფორმა (ცილებთ უძეველეს პე-  
რიოდის), ე. ი. მელოდიის ჩვეულებრივი ტალღისებრური ხაზები ზე-  
ვით და ქვევით, გარდა რეზიტატიულებისა; ქართლ-კახურში სხვა  
ფორმა: ორნამენტიკა „გრძელ“ და ნაწილობრივ „მოკლე“ სიმღე-  
რათა (რომლებიც, ალბათ, გლეხური ცალფა სიმღერებიდან მოდის)  
კატეგორიაში, და გურულ-მეგრულ სიმღერაში—მესამე ფორმა:  
კრიმანჭულის გამოჩენა. და აი, აქ მეტად საინტერესოა თვალყურის  
მიღევნება და რაიმე განმარტების მიცემა ამ მოვლენათათვის: საუთ-  
რად ჩვენი წარმოშობისაა ისინი თუ სადმედან მოტანილი, ხომ ას

არის აქ უცხო გავლენა. ყველა ეს, უპეველად, მეტად საინტერესო კრიბლემა, თავის ცალკე გადაწყვეტის მოითხოვს.

მაშასადამე უშეუალოდ გადავდივართ ჩვენ საკითხებზე, უკიდურეს შევეხებით ცალფა და საგუნდო, ორ და სამხმოვან გურულ სიმღერათა წყობას, რაც ამ შრომის თემას შეადგენს.

გადავდივართ რა გურულ სიმღერათა კილოს წყობის განხილვაზე, უნდა იღვნიშნოთ, რომ გურული სიმღერა თავის სიმკირცელის, სიმხნევისა და სიმძაფრის მეოხებით რამდენიმედ განცალკევებით დგას სხვა ქართველურ შტოთა სიმღერებისაგან. ჩვენ უნდა გავერკეთ ყოველივე იმაში, რასაც გურული მღრღის. ამ ქართველური შტოს სიმღერას ახასიათებს საკუთარი თავისებურებანი, რაც თვით მუსიკის ხასიათით გამოიხატება. უმრავლეს თავის სიმღერებში გურულს არ შეუძლია მშეიდად გამოსთქვას საკუთარი სულიერი განცდები და როგორც იტყვიან ხოლმე, ერთ ადგილზე იდგეს. ის მუდამ მოძრავია, მკვირცხლი და გრძნობამორჩულია, ამიტომაც მისი სიმღერების ტემპებიც, უმეტეს შემთხვევაში, არაჩვეულებრივად გიმაჟი და მოძრავია.

გურული ხალხური სიმღერა რომ პოლიფონიურია — ეს უდარა და დადასტურებას არ მოითხოვს. ჩვენ ამაში კრწმუნდებით ყოველდღიურად, ყოველ საათს, რაღიოგადამზოცემით, კონცერტებითა და ანსამბლებით. მაგრამ თუ ანალიზს გავუკეთებთ მოელ რიგ გურულ სიმღერებს, დავინახავთ, რომ მათ შორის გეხედება სიმღერები გომოფონური და გომოფონურ-პოლიფონიური სტილისა და რომ ამ კატეგორიებს მინიჭებული აქვთ საკმაოდ დიდი ადგილი გურულ სიმღერათა შორის, რაზედაც ჩვენ ქვემოთ ვიღაბარავებთ.

იმრიგად, ეისახავთ რა ამოცანად კილოს წყობას, ჩვენ საერთოდ გაკვრით შევეხებით მისი სტილისტური მხარის საკითხესაც. მაგრამ ვიღრე მათ შევეხებოდეთ, ჯერ საჭიროა თვით სიმღერის საფუძველზე — მის კილოზე ლაპარაკი. თუმცა ეს ძალიან ვიწრო, სპეციალური დარგია, მაგრამ ის, ისევე როგორც იმერული და მეგრული სიმღერები, თავის გაშიფრვასა და გარევევას იოითხოვს.

გურულ სიმღერათა ანალიზის დროს უწინარეს ყოვლისა შევეხეთ ჩვენს ჩანაწერებს, რომლებიც 50 წლის წინათაა ფიქსირებული. ჩვენს მიერ 1923 წელს ჩაწერილ სიმღერათაგან ერთი გაშიფრა

პროფ. დ. ნ. შეველოვმა (სამწუხაროდ, უტაქსტოდ) და ერთი-კომი. ქ.  
მშველიძემ.

შემდეგ ჩვენ გამოვიყენეთ ზ. ფალიაშვილისა და ა. ბენაშვილის  
ჩანაწერები.

ჩვენ ჩანაწერებთაგან გამოყენებულია: 12 ცალფა და 26 (ას-  
ვთელი 27-მარსელიეზას) საგუნდო სიმღერა. შემდეგ, ერთი ორ-  
ხმიანი და ორი სამხმიანი სიმღერა ჩაწერილი ა. ბენაშვილის მიერ,  
ორი სიმღერა კ. ფოცხვერაშვილის და ჭერგერობით ერთი „ალ-  
ლო“ გრ. ჩხილევის ჩაწერილი. ეს, რა თქმა უნდა, მცირე ნაწილია  
სიმღერათა იმ დიდი რაოდენობისა, რაც გურიას მოქმოვება. მაგრამ  
ესეც მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ სიმღერათა ჩაწერის პირველ  
გამოცდილებას წარმოგვიდგენს, რაც იმის ნათელ სურათს გვიხატავს,  
თუ რას და როგორ მღეროდნენ ნახევარი საუკუნის წინათ და რამ-  
დენად განსხვავდება ამ სიმღერათა თანამდროვე ვარიანტები იმ  
დროინდელი სიმღერებისაგან. ამ მხრივ ძვირფასია განსვენებული  
ზაქარია ფალიაშვილის ჩანაწერებიც, რომლებიც 1909 წელს გამო-  
იყა.

განსაკუთრებით ეს საინტერესოა სიმღერათა პოლიფონის  
მხრივ, რაც ამ შემთხვევაში ცალკე პრობლემას წარმოადგენს და ჩე-  
ნი ფოლკლორის დარგში მუშაკებმა მას საგანგებო დრო უნდა და-  
უმონ.

საჭიროა ალინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საინტერესო მო-  
ვლენებს ეხედავთ. გურული საგუნდო სიმღერა რამდენიმე სახისაა,  
სახელდობრი: გომოფონური სიმღერები პოლიფონიური მომენტებით,  
გომოფონურ-პოლიფონიური სიმღერები (№ 20) და პოლიფონიური.  
ამ პოლიფონიურ სიმღერებს აქვს ბასო-ოსტინატური სელები (№ 36—38), ან სელები შეა ხმაში (№ 37), ან პოლიფონია გაბმული  
ნიტით პირველ ხმაში (№ 22), ან პოლიფონია ყველა სამ ხმაში, ან  
პოლიფონია ყველა სამ ხმაში უკრიმანტულოდ და პოლიფონიურ სი-  
მღერათა ცალკე სახეობა კრიმანტულით, ე. ი. რულადებით, რომლე-  
ბიც იქნება გურულ პოლიფონიურ სიმღერათა განვითარების უკ-  
ნასწერ სტადიას წარმოადგენენ.

ჩვენ განვიხილავთ თუ რა კილოები აქვთ მათ, მაგრამ განხილვა  
მინც ცალფა გურული სიმღერებიდან უნდა დაეიწყოთ.

ეს ცალფა სიმღერები, ისე როგორც მეგრული, წარმოადგენს  
განსაკუთრებული კატეგორიის სიმღერებს, რომლებიც ჩონგურები  
აკომპანემენტით სრულდება. ეს სიმღერები არაა პოლიფონიური და  
თავიანთი ნაზი მელოდიით ხავსებით განსხვავდებიან საგუნდო სიმ-  
ღერებისაგან. ისინი იძლენად სხვა სახისანი არიან, რომ შესაძლებე-  
ლია იფიქროს ადამიანმა — ალბათ სხვა ხალხმა შეჰქმნა და არა იმა-  
ვა გურულებმა.

პირველ სიმღერას იწყებს ჩონგური დორიულ კილოში ლა (13  
ტაქტი). მოდერატორან დორიული კილო გადადის იონიურ კილოში  
სოლ (11 ტაქტი), შემდეგ — ინტერმედია პირველ კილოში (სამი  
ტაქტი) და მეოთხე ტაქტზე, სამწუხაროდ, სიმღერა ჩონგურის აკომ-  
პანემენტის გარეშე ხდება, მაგრამ როგორც ჩანს, მიმღინარეობს  
ისევე იონიურ კილოში სოლ, რომელიც მთავრდება ჩონგურის პოს-  
ტლელით პირველ კილოში, ე. ი. დორიულ კილოში ლა. (იხ. სიმღერა  
№ 1. წიგნში: „დასავლეთ ხაქართველოს ხალხური სიმღერა“).

სიმღერა № 2 „მზის სხივები აკოკრებენ მაისის ვარდს სასურვე-  
ლად“ დასაწყისში ელერს ეოლიურ კილოში ფა-დიეზ, შუაში გადა-  
დის მიქსოლიდიურ კილოში ფა-დიეზ და დასასრულში უბრუნდება  
თავდაპირველ კილოს (სიმღერა), მიქსოლიდიურ კილოში ფა-დიეზ  
გადახრით (ორი ტაქტი) ჩონგურზე, სიმღერის დამთავრების წინ  
(იხ. სიმღერა № 2, იქეე)\*.

სიმღერა № 3 „სიზმარში კაბა დამეწვა“. მისი კილო აკომპანე-  
მენტში, როგორც ჩანს, არის დორიული ფა-დიეზ, ერთნაირი სიმ-  
ღერის მოელს მანძილზე, სიმღერაში კი ფრიგიული სოლ-დიეზია.  
მრიგვად, ამ სიმღერაში თოთქოს ორი კილო მოქმედებს. (იხ. სიმღერა  
№ 3, იქეე).

სიმღერა № 4 „ჩემო ოქროს მჰედელო“ საბავშვო სიმღერაა  
ფრიგიულ კილოში ლა. მასში საინტერესოა პოლიფონიური სკლა-  
ჩონგურში, სიმღერის მეორე ნაწილში. (იხ. № 4, იქეე).

სიმღერა № 5 „მზე შინა და მზე გარეთა“. ეს შესანიშნავი სიმ-  
ღერა დაფუძნებულია ეოლიური კილოს ფა-დიეზ IV საფეხურის

\* მრავალი იტევაობის თავიდან ასაცილებლად, წვენ არ ეწერთ, რომ წვენი  
კილოები შეესაბამებიან გლარეანის ამა თუ იმ კილოს, არამედ პირდაპირ ვასახე-  
ლებთ მათ: იონიური, დორიული და სხვ. გლარეანის შიხედვით.

კვარტსექსტაკორდებზე, რომელიც ჩანს, ამ კილომეტრზე  
მთავრდება. ყველაფერი, რაც შეიძლება მის შესახებ ითქვას, ისაა,  
რომ სიმღერა წარმოადგენს ღრმა ლირიკას, რომელიც გამოხატავს,  
სევდის გრძნობას და იმავე დროს სიყვარულს ბავშვისადმი, ვისდა-  
მიც მიძლვნილია სიმღერა: მისი მელოდია ზეშთაგონების წყაროთ  
მოევლინა ბევრ კომპოზიტორს\*. (იხ. სიმღ. № 5, იქვე).

სიმღერები № № 6, 7 და 8 უკაკმპანემენტოდ. მათ შორის № 6  
და № 8 სიმღერები მოცემულია მინორულ პენტახორდში სოლ  
(მი-ბემოლს მერვე სიმღერაში დამხმარე ნოტად ვთვლით). რაც შე-  
ეხება მეშვიდე სიმღერას, იგი, კილოს წყობის მხრივ, რაღაც გაუგე-  
ბარია: იგი მიქსოლიდიური კილოდან დო მიქსოლიდიურ კილოში  
ფა უნდა გადადიოდეს, ანდა იქნებ იონიურ სი-ბემოლიდან მიქსო-  
ლიდიურ ფა-ში გადადის. (იხ. სათანადო ნომრები, იქვე).

სიმღერა № 9. ყველაფერი, რაც შეიძლება მის შესახებ ითქვას,  
ის არის, რომ იგი მიმღინარეობს მიქსოლიდიურ კილოში რე. სიმღე-  
რას თუმცა ჩონგურის აკომპანემენტი აქვს, მაგრამ მეტად ერთგვა-  
რი და არამაინტერესო. (იხ. სიმღერა № 9, იქვე).

სიმღერა № 10 „ქალო ლამაზო“ უკაკმპანემენტო, ლამაზი სატ-  
რაფიალო სიმღერაა. პირველ ნაწილში მიქსოლიდიური კილო ფა  
აქვს, მეორეში—ეოლიური კილო იმავე სახელწოდებისა. (იხ. სიმღე-  
რა № 10, იქვე).

სიმღერა № 11 „ნეტამცაა, მომკლაცაა“ ჩონგურის აკომპანე-  
მენტით, აქვს ეოლიური კილო ფა. მერვე ტაქტში სოლ მეორე სა-  
ფეხური მას დაწეული აქვს და ეს, ალბათ, როგორც კოლორიტული  
მომენტი, ერთხელ კიდევ მეორდება სიმღერის დასასრულის წინ.  
(იხ. სიმღერა № 11, იქვე).

სიმღერა № 12 „კარგა სტუმარს დავესტუმრე“ მშევნიერი სიმ-  
ღერაა იონიურ კილოში დო, სადაც მომღერალიცა და ჩონგურიც  
იწყებენ დომინანტით ან ამთავრებენ ტონიკით. ამასთან ჩონგურს,  
უკარგებს რა სიმღერას აკომპანემენტს, მიჰყავს დამოუკიდებელი  
ხაზი. (იხ. სიმღერა № 12, იქვე).

\* მათ შორის ამ სტრიქონების აეტორისაც, რომელმაც ამ ოქაზე ვოკალიზა-  
და წარიზნის კონცერვატორიისათვის (პროფ. გეტიშის კლასისათვის). კონკა-  
ზი დაიბეჭდა იქვე, 1929 წელს.

განხილული სიმღერებიდან შეიძლება შემდეგ დასკვნათა გამო—  
ტანა: ბევრ სიმღერას რეჩიტატიული ხასიათი აქვს (№ № 1, 2, 3, 9—  
და სხვ.) ბევრს — გაბმული, რომლებიც საინტერესოა გამომეტყვე—  
ლი მელოდიითა და რიტმით. უმრავლესობას მათ შორის უკეთეს  
მხატვრული ღირსებები მოეპოვება.

გადავდივართ გურული სამხმოვანი სიმღერების განხილვაზე,  
მაგრამ წინასწარ მათი ორხმოვანი საგუნდო სიმღერები უნდა განვი—  
ხილოთ. ასეთი ორი სიმღერა გვაქვს.

პირველი მათგანი № 13 „სათამაშო“, რეჩიტატიულად მიმღინა—  
რე სიმღერა მოთავსებულია ქვარტის ფარგლებში (დორიული ტეტ—  
რახორდი), ზედა ხმაში დამხმარე ნოტით მი, ბანი კი ბასო ოსტინა—  
ტოს წარმოადგენს. (იხ. სიმღ. № 13, იქვე).

მეორე სიმღერა № 14 „ყარანაი ყანაშია“ შენაცვლებითი სიმ—  
ღერაა, რომელიც კვინტის ფარგლებში მიმღინარეობს (მიქსოლიდი—  
ური კილო ფა) და მთავრდება ამავე კილოს ფრიგიული კადანით.  
(იხ. სიმღერა № 14, იქვე).

### სამხმოვანი საგუნდო გომოფონური სიმღერები პოლიფონის მომენტებით

პირველი ასეთი სიმღერა № 15 „ბროლის ყელსა მოგეხვევი“  
სრულდება ჯერ მიქსოლიდიურ კილოში ფა, ხოლო შემდეგ, კადან—  
ში, გადადის იონიურ კილოში ფა. პოლიფონიური სელები მხოლოდ  
ორ უკანასკნელ ტაქტშია. (იხ. სიმღერა № 17, იქვე).

სიმღერა № 16 „რანინა“\*. ისე როგორც სიმღერა № 15, აგბუ—  
ლია ორ კილოშე: მიქსოლიდიურ ფა-ზე და იონიურ ფა-ზე (№ 17—  
18 ტაქტებში), აგრეთვე კადანში სიმღერის დასასრულს. ამ სიმღე—  
რაშიც, ბანში, გვხედება პოლიფონიური მომენტები, რომლებიც  
ზოგჯერ შეერთებულია მეორე ხმებთან: (ტაქტები: 5—9—14—17  
23—27—32 და 35). (იხ. სიმღერა № 23, იქვე).

სიმღერა № 17 „ოდელა“ იწყება ეოლიურ კილოში სოლ.  
მეშვიდე ტაქტში იგი იხრება დორიულ კილოში სოლ, შემდეგ კი

\* ეს „რანინას“ მსგავსი სიმღერა მოხედა აღმოსავლეთ საქართველოში — ქარ—  
თლში, სოფელ ხოვლეთში, საღაც ჩაწერილია 1901 წელს გლეხებისაგან.

თავის თავდაპირველ კილოში ბრუნდება. ამ სიმღერაში მხოლოდ ერთი პოლიფონიური მომენტია, ბანში, მერვე ტაქტში. (ეს, სიმღერა, № 34, იქვე).

სიმღერა № 18 „აშადელია“ იწყება მიქსოლიდიურ კილოში სოლ და გადადის მიქსოლიდიურ კილოში დო (კადანსი მეორე საფეხურზე). შემდეგ ამავე კილოს რამდენიმე ტაქტია, სადაც მეორე (საშუალო) ხმა პოლიფონიურ მიმართებაშია ორ ტაქტში, შემდეგ სიმღერა კვლავ თავდაპირველ კილოში და მეორე საფეხურის კადანით თავდება. საერთოდ, სიმღერა გომოფონურ-პოლიფონიური ხასიათისაა. (იხ. სიმღერა № 37, იქვე).

სიმღერა № 19 „ჰე, ია, ვა-ჰე“ უფრო პომოფონური ხასიათისაა, ვიდრე პოლიფონიურის. კილო აქვს იონიური, კადანსი კი—ფრიგიული, რომელიც უნდა დამთავრდეს ნოტით სი, რაც გამოტოვებულია. (იხ. მაგ. 19, იქვე).

სიმღერა № 20 „ფირუზი“ იწყება იონიურ კილოს სოლ დომინანტიდან და მეორდება ყოველი ექვსი ტაქტის შემდეგ. მეოთხე (უკანასკნელი) განმეორება მთავრდება დამთანიათებელი კადანით, რაც უმთავრესად დასავლეთ საქართველოს სიმღერებში გვხვდება, სახელდობრ, ბანის მოძრაობით ტონებით ზევით, მეოთხე საფეხურში, რაც იძლევა იონიური კილოს დო კადანსს.

სიმღერა იწყება გომოფონიურად და წინადადების ბოლოს 5—6 ტაქტებში, კადანსში, თავდება პოლიფონიურად. პირველ გამეორებაში ბანი მიდის უცვლელად კადანსამდე, ხოლო პირველი და მეორე ხმები პოლიფონიურ მიმართებაშია. მესამე და მეოთხე განმეორებებში ყველა სამი ხმა პოლიფონიურ მიმართებაშია. (იხ. სიმღერა № 21, იქვე).

სიმღერა № 21 „ჯაშის ქალო მარიკელა“. ამ სიმღერაში, რომელსაც ეოლიური კილო ლა აქვს, წამყვანი როლი პირველ რვა ტაქტში მეორე ხმას უჭირავს; პირველი ხმა კი ასრულებს გაბმულ ნოტას. სიმღერის პირველი გამეორება იწყება მინორული ტრი-

\* ეს სიმღერა შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე ჩოგორცი დაწყებული ინიციურ კილო დოს ლომინანტიდან და დამთავრებული ამავე კილოს ტრიუიკ, კადანით მეორე საფეხურზე, ამავე კილოში სიმღერის დასარულის ჩათვლით.

ხორცილან და მეხუთე ტაქტილან მელოდიის მოძრაობა ჰირველ/ ხმაში გადადის. სიმღერის მეორე გამორჩებისას ხდება იგვე, მთავე რდება ეოლიურ კილოთი ლა, უნისონში.\* (იხ. სიმღერა № 22, იქვე).

სიმღერა № 22 „ვაშაშე“ (სახუმარო). ეს სიმღერა მიეკუთვნება აგრეთვე გომოფონურ-პოლიფონიურ სიმღერათა ჯგუფს. მოძახილის შემდეგ იწყება ორ ტრიხორდებით იგი გადადის სამხმოვანებაში შუაში კვარტს უქმნის ტაკორდით და თავდება სამი ხმის სელით უნისონში.

მისი კილო, მოძახილში, როგორც ჩანს არის მიქსოლიდიური სოლ, გაგრძელება კი თანდათან გადადის ონიურ კილოში სი-ბე-მოლ, ორი განმეორებით. (იხ. სიმღერა № 28, იქვე).

სიმღერა № 23 სუფრული „ორი რაშა“ პატარა სიმღერაა, რომელიც იწყება ონიური კილოს სი-ბემოლ მესამე საფეხურიდან, სადაც მეორე ხმა მიღის ბანთან უნისონში და კადანსში გადადის მიქსოლიდიურ კილოს მი-ბემოლ IV საფეხურში. თითქოს შესაძლოა, რომ ისიც გომოფონურ-პოლიფონიურ სიმღერათა ჯგუფს მიკუთვნის.\*\* (იხ. სიმღერა № 31, იქვე).

სიმღერა № 24 „რაშოვორერა“. ეს სიმღერა მოუკეთებლივ მიქსოლიდიურ კილოში სოლ. პოლიფონიური სულები მასში მეხუთე და მეცხრე ტაქტებშია, გარდა ბანისა, რომელიც ნათელ ბასო-ოსტანტურ ფიგურას წარმოადგენს, ისე როგორც სიმღერა № 38-ში (ამაზე ქვემოთ). ჩვენი ფიქრით, ამ სიმღერაში წამყვან მელოდიურ როლს მეორე ხმა ასრულებს, პირველი კი ასრულებს თავის პარტიას. როგორც ქვებერა (подголосок, ამოლი). საერთოდ, ეს არის მშევნეორი 12 ტაქტიანი გომოფონურ-პოლიფონიური სიმღერა. (იხ. სიმღერა № 36, იქვე).

სიმღერა № 25 „როკლამაცია“. ეს სახუმარო სიმღერაც, რომელიც 1900 - იან წლებში ოზურგეთში (ახლა ქ. მახარაძე) ჩაისახა, გომოფონურ-პოლიფონიურ სიმღერათა ჯგუფს ეკუთვნის. რვატაქ-

\* ეს სიმღერა შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე როგორც მიქსოლიდიური კილოს მქონე სიმღერა, კილოს მეორე საფეხურის კადანსთ.

\*\* ეს სიმღერაც შეიძლება აგრეთვე განხილულ იქნეს, როგორც № 20-ის მსგავსი სიმღერა („ფირუზი“), სადაც ბანები მიღიან საფეხურებით ზევით, ახალ ტრიალობაში, ამ შემთხვევაში ლა-ბემოლ.

ტიან, სეკუნდებით ოლმავალ-დალმავალ მოძახილს აპყვება გუნდი, სადაც პირველი ხმა ასრულებს თავის პარტიას, ხუთი ტაქტის ფაზა-გლებში, ერთ ხაზზე, მეორე მას აკომპანემენტს უქმნის ჭრი პოლი-ფონიურად (ორი ტაქტი), შემდეგ კი პარმონიულად (ოთხი ტაქტი), პირველად საორგანო პუნქტზე, შემდეგ კი — ტერცული მოძრაობათ ქვევით, კვინტურ კადანსში. ბანი წარმოადგენს განუწყვეტელ ისტა-ნატოს; ბოლოვდება იონური კილო სოლ კადანსით. (იხ. სიმღერა № 38, იქვე).

სიმღერა № 26, „ოსა რერა ნანინა“. სიმღერა კუპლეტური ფორმისაა, რომელიც ყოველი განმეორების დროს ახდენს კადან-სირებას ეოლიური კილოს სოლ VII საფეხურში. სიმღერა გომო-ფონურია და მთავრდება კილოს მთავარი საფეხურით ქართული კვინტით. ბეგრები: 4-5 და 1 სქოლიოში აღნიშვნულა როგორც დადაბლებული და, მაშასადამე, არ უნდა მოქმედებდნენ კილოზე. (იხ. სიმღერა № 18, იქვე).

სიმღერა № 27, „ნინდა-მინდა“. სიმღერას იწყებს მოძახილი. პირველს მიყავს პირდაპირი მელოდიური ხაზი და წყდება, მეორე და მესამე ხმები კი ჩადიან და ამოდიან კვინტებით ორ ტაქტზე, ჩვენი ფიქრით იონიურ კილო სი-ბემოლში, შემდეგ ტერცული სვლებია, მას იქით კი მოდერატოში მღერიან მარტო ბანები, რომ-ლებიც მეორე ხმასთან ერთად პქმნიან საორგანო პუნქტს. მათ გაბ-შული ნოტით ეოლიურ კილოში სოლ (ორი ტაქტი) უპასუხებს პირ-ველი ხმა, რის შემდეგ მიდის ორი ტაქტი პოლიფონიური მომენტისა, რაც თავდება ტრიხორდით დო — ფა — სოლ, გამვლელი მი-ბე-მოლით.

შემდეგ მეორე ხმა ასრულებს სოლოს (სამი ტაქტი), მას უერ-თდება მეორე — მღერიან დუეტით. მათ შემდეგ იწყებენ კვლავ მარ-ტო ბანები, როგორც მოდერატოში, და სიმღერა, როგორც პირვე-ლი ვარიაცია იონიური კილოში რე-ბემოლ ეოლიურ კილო სოლის შენაცელებით მეორდება და თავდება კვლავ კადანსით დო — ფა — სოლ. შემდეგ მიდის სიმღერის მეორე ვარიაცია, ე. ი. სოლოს ასრუ-ლებს მეორე ხმა ზოგიერთი ცვლილებებით, მას უერთდება სხვა ხმა — მღერიან დუეტით — შემდეგ სოლოს ასრულებენ ბანები და ა. 7.

მესამე ვარიაციაში (არსებითად მანამდე) არის გამოტოვება, და სიმღერა თავდება, ბანების სოლოდან მოკიდებული, ტრიხორიზით, დო — ფა — სოლ. სიმღერის კილოა დორიული დო კადანი, უპევ-ლად, ერთ-ერთი უძეველესთავანია. (იხ. სიმღერა № 26, იქვე).

სიმღერა № 28, „იახამანი და დეინოხა ხმიდა“ 12 ტაქტიანი პა-ტარა სიმღერაა, სადაც პოლიფონიური სელები კიდურ ხმებშია. მა-სი კილო, ალბათ, იონური სი—ბემოლია. (იხ. სიმღერა № 26, იქვე).

სიმღერა № 29, „ფერხული“ ესეც პატარა რვატაქტიანი ოჩწი-ლადი ზომის სიმღერაა, რომელიც განსხვავდება თავისი რიტმით ჩვე-ულებრივი სამწილადი ფერხულებისაგან. უნდა ვიფიქროთ, რომ მი-სი კილო არის დორიული სოლ. საინტერესოა მასში სელები დასა-სრულის წინ მთლიანი, სეკვენციურად მოძრავი სეპტაკორდებით, რომლებიც, სამწუხაროდ არ ხმოვანებენ საკმაო გარევეულობით, როგორც აღნიშნულია შენიშვნაში, მაგრამ ჩვეულებრივ გურულ სიმღერაში გვხვდება. (იხ. სიმღერა № 33, იქვე).

სიმღერა № 30 „გურული მაყრული“ სიმღერა მიმდინარეობს მიქსოლიდური კილოში ლა, V—VI—I საფეხურების კადანით. მასში, როგორც ჩანს, წამყვან როლს ასრულებს მეორე ხმა, პირველს კი მიყვავს ხმა ტერციით (ორი ტაქტი) ამყოლის სახით, და მხოლოდ მეოთხე ტაქტის შემდეგ იშლება პოლიფონიურად. ბანი ოსტინატუ-რია, კადანის ლა-ზე უნისონში. (იხ. სიმღერა № 16, იქვე).

სიმღერა № 31, „მაყრული“ — იწყება ეოლიურ კილოში ში (ოთხი ტაქტი), შემდეგ გადადის მიქსოლიდიურ კილოში სოლ, სადაც ხდება სიმღერის მოდულირება მიქსოლიდიურ კილოში რე, რომე-ლიც შეგვიძლიან განვიხილოთ როგორც ეოლიურ კილო მის VII საფეხურიც, მით უფრო, რომ სიმღერა კიდევ გადადის ამ კილოში (ე. ი. მი) და მეორედება როგორც დასაწყისში. იქვე უნდა აღინიშნოს, რომ რე არის საორგანო პუნქტი, რომელზედაც სიმღერის ორი ტაქ-ტი გომიფონურად სრულდება. იგი თავდება თავდაპირეელი კილოს, ე. ი. ეოლიური მის VII საფეხურის კადანით. სიმღერა, როგორც მეტწილად პოლიფონიური ხასიათის მქონე — მეტად საინტერესოა. (იხ. სიმღერა № 35, იქვე).

სიმღერა № 32 „ორიზა“. პირველ ხმაში მოძახილის შემდეგ იწყებს გუნდი მიქსოლიდიურ კილოში სოლ და ტაქტის შემდეგ ახ-

დენს მოდულირებას მიქსოლიდიურ კილოში ფა, მთავარ საუკუნეების შეჩერებით. შემდეგ სიმღერა მეორდება ამ ორ კილომეტრზე დაუდება II საფეხურის კადანსით, მეორე კილოს უნისონშემართვა

ამ სიმღერაში მეორე ხმას, მეტწილად, პირდაპირი მელოდიურ ხაზი მიძყავს, კიდური ხმები კი მოცემულია კონტრაპუნქტულად. (იხ. სიმღერა № 25, იქვე).

სიმღერა № 33 „ალი-ფაშა“<sup>4</sup>. ეს სიმღერა „გრიძელ“ მრავალტუნალურ სიმღერათა კატეგორიას ეკუთვნის. მისი პირველი ნაწილი იწყება მეორე ხმის მოძახილით, რომლის შემდეგ პირველი და მესამე ხმები ებმებიან სიმღერაში მიქსოლიდიურ კილოში რე. ტაქტის შემდეგ, თუ სქოლიოს მიხედვით ვიმსჯელებთ (ამაღლებულია და), ალბათ ხდება მოდულაცია ერლიურ კილოში სი (კადანსი). შემდეგ, პირ მოსოდან, ხდება მოდულაცია მიქსოლიდიურ კილოში ფა, სადაც კიდური ხმები პოლიფონიურადაა მოცემული, საშუალოს კი მიძყავს რეჩიტატივი (4 ტაქტი). შემდეგ, ბგერა მი-ს დადაბლების წყალობით (იხ. სქოლიოში მეორე შენიშვნა), სიმღერა, როგორც ჩანს გადადის ჭერ დორიულ კილოში დო (სულები მეორე და მესამე ხმებში პარალელური კვინტებით) და მიქსოლიდიურ კილო დო-ს მონაცელებით მიღის მექევსე ტაქტში იონიურ კილო დო-ს დო ნოტში კადანსირებით. ამის შემდეგ კვლავ იონიური კილო სი-ბეჭოლი, სადაც სამი ტაქტის მანძილზე მეორე და მესამე ხმებში მოქმედებს საორგანო პუნქტი. აქ პირველ ხმაში, მელოდიური ხაზი, ცოტათ კრიმანქულს მოგვაგონებს, რვა ტაქტის მანძილზე მოქმედებს და გადადის მიქსოლიდიურ კილო სოლ-ის საორგანო პუნქტში, კრიმანქულით პირველ ხმაში. შემდეგ არის მონაცელება ეოლიური კილო სოლ-ის (სქოლიოში სი დადაბლებულია) და რე-სი, რომელიც ამაღლებულ მეხუთე საფეხურში მიიმართება, რის შემდეგ, სამ ტაქტს იქით, იონიურ კილო რე-ს კადანსით (პირველ ხმაში გამოტოვებულია ფა-დიეზი) მთავრდება. მთელი სიმღერა წარმოადგენს ყოველგვარ კომბინაციებით, მოდულაციებით და კადანსებით აღსავსე განუწყვეტილ და ამასთან ძნელად გასარკვევ ნაკადს. (იხ. სიმღერა № 24, იქვე).

სიმღერა № 34, „ალი-ფაშა“ (მეორე ვარიანტი). ეს სიმღერა იწყება ისევე, როგორც პირველი, მეორე ხმის რეჩიტატივით მიქსო-

ლიდიურ კილოში ლა (სოლ-დიეზი გასაღებში შეცდომითა დაშტული), რაც დასტურდება პირველი ხმის ჩაბმითა და ბანების საწირებაზე  
 პუნქტით, რომლებიც ქართული კადანისით გადადიან ეოლიურ კილო-  
 ში ფა-დიეზ. მას მოსადევს შემდეგი ნაწილი ოლეგრო, ტონით მაღლა,  
 საღაც პირველი ხმა უმთავრესად პოლიფონიურადაა მოცემული,  
 მეორე ხმას ერთ მელოდიურ ხაზზე მიჰყავს რეჩიტატივი, ბანი კი  
 მოქმედებს ხან საორგანო პუნქტის სახით, ხან ეშვება საფეხურებით  
 ტემპი პრიმოდე. ტემპ პრიმოში პირველი ხმა კრიმანქულს ამბობს,  
 მეორეს მიჰყავს რეჩიტატივი, ბანი კი მიიმართება პოლიფონიურად  
 და მთავრდება ქართული კადანისით ფა-დიეზ ლა-დიეზ დო-დიეზ —  
 სოლ-დიეზ — რე-დიეზ, კადანის მესამე ტაქტში (საღაც რიტენუტოა)  
 ნოტი მი-ბეკარ მიუთითებს სიმღერის გადასვლაზე მიქსოლიდიურ  
 კილოში ფა-დიეზ, სადაც პირველ ხმაში მოქმედებს კრიმანქული,  
 მეორეში — რეჩიტატივი და ბანებში — საორგანო პუნქტი, რომელ-  
 საც გადაჲყავს მიქსოლიდიურ კილოში ლა-დიეზ, ეშვება კვარტებით  
 (ბანებში: ლა-დიეზ — მი-დიეზ, სოლ-დიეზ — რე-დიეზ) და ტალღი-  
 სებური აწევ-დაწევით იგი ამთავრებს თავის სელს კადანისით იო-  
 ნიურ კილოს (ლა-დიეზ) უნისონში. კადანის წინ, ბანშიაც საორგა-  
 ნო პუნქტია, პირველ და მეორე ხმებში კი პოლიფონიური სელები.  
 საჭირო იყო ამ სიმღერის ტრანსპონირება, რაც თავის ღროშე  
 არ გავეთდა, ამიტომ იგი თავის დუბლ-დიეზების წყალობით მოხვდა  
 ლა-დიეზის ტრანსპონატში, რომელსაც არ იყენებენ. ყოველ შემთხვე-  
 ვაში, სიმღერა როგორც კარიანტი, ძალიან საინტერესოა. (იხ. სიმღე-  
 რა № 39, იქვე).

სიმღერა № 35, „ხასანბეგურია“. მიქსოლიდიურ კილო რე-ს სამ  
 შასავალ ტაქტს შემდეგ, სიმღერას იწყებს გუნდი მოღერატოში,  
 მიქსოლიდიურ კილოში ლა. სქოლიოში ციფრით 2 აღნიშნული ნო-  
 ტები ბანსა და კრიმანქულში. მიგვითითებენ ბეგრებზე, რომელიც  
 უფრო ნოტა დო-სეკნ იხრება და არა დო-დიეზისაკენ.\* შემდეგ ჩვენ

\* მოუხდედავად მისა, რომ ამ სიმღერაში დო-დიეზების ნოტები მეოთხე და  
 პირველ ტაქტებში დაღამუებულია და თითქოს მათ ღორიულ კილოში ლა მიეკა-  
 ვართ, ჩვენ მაინც სიმღერას მიქსოლიდიურ კილო ლა-ში კოლით, ვინაიდან შემ-  
 დებ ყველგან ამ სიმღერაში დასმულია სელთა დო-დიეზები.

ვხედავთ იგივე სურათს (სქოლიოში აღნიშნულია ციფრით 4), რომელიც გადადის მიქსოლიდიურ კილო რე-ს საორგანო პუნქტში, სადაც მის ფონზე მცერის მხოლოდ მეორე ხმა, მეოთხე ტაქტში ხდება მოდულირება: მიქსოლიდიურ კილოში ლა, აქაც საორგანო პუნქტში, სადაც ციფრები 5 და 6 მიუთითებენ აგრეთვე ამაღლებულ ნოტებზე, რომელებიც ბანში საორგანო პუნქტით მიიმართებიან (დო-დიეზ და ფა-დიეზ, პირველ ხმაში, ოთხი ტაქტი) და შემდეგ გადადიან მიქსოლიდიურ კილოში სოლ (აქაც ოთხი ტაქტი). ამის შემდეგ, სამჯერ, შემოკლებული სახით, მეორდება სიმღერის მთავარი ნაწილი მიქსოლიდიურ კილოში ლა კრიმანქულით, აქედან ხდება გადასვლა დუეტში (მიქსოლიდიური კილო რე, შემდეგ კი — ლა) სადაც ფა და ლო უნდა იქნენ ამაღლებული (სქოლიოში ციფრები 2-3). სიმღერა, ჩვენი ფიგრით, თავდება (უკანასკნელი ხუთი ტაქტი) ეოლიურ კილოში ლა.

მთელი სიმღერა, ბუნებრივი წყობის გამო ძნელია ზუსტად გასარკვევად და ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ ყველაფერი პირობითად განვესაზღვროთ. (იხ. სიმღერა № 27, იქვე).

სიმღერა № 36, „ხახანბეგური“ (მეორე ვარიანტი). ამ სიმღერას ნელი ტემპით იწყებს მეორე ხმა, მოძახილი, შემდეგ კი მოღერატოში იწყებს გუნდი, იონიურ კილოში რე, კრიმანქულით პირველ ხმაში, გაბმული ნოტით—მეორეში და ბასო-ოსტინატო—შესამეშა. ამის შემდეგ მიდის ალეგროს ტემპი ნონ ტროპო, სადაც ოთხი ტაქტის მანძილზე მეორე და მესამე ხმები ზუსტად იმეორებენ წინადელ მოძრაობას, კრიმანქული კი ცვლის მელოდიურ სურათს. ამის შემდეგ იწყება ყველა სამი ხმის სვლები მცირე სეპტემბრდებით პირდაპირი მოძრაობით ზევით, მვევით კი — პარალელური სამხოვანებებით და მენო მოსოში გადადიან ტრიხორდში სოლ-დო-რე (მიქსოლიდიური კილოსი სოლ), შემდეგ კი — მეორე ხმისა და ბანების დუეტში (12 ტაქტი), რაც გადადის მიქსოლიდიურ კილოში რე და ახდენს მოდულაციას მიქსოლიდიურ კილოში ფა-დიეზ (გასაღებში ერთი ზედმეტი დიეზია დაწერილი), სადაც ბანი მიდის საორგანო პუნქტით, მეორე ხმა კი ჩეჩიტატივით დუეტი თავდება გადასვლით ახალ კილოში—იონიურ კილოში მი-ბემოლ, რომელიც მიქსოლიდიურ მი-ბემოლთან მონაცემეობს, სადაც ბანების და ნა-

წილობრივ მეორე ხმის სელები ორგერ მოგვაგონებენ სიმღერის/დასაწყისის მოძრაობას მოდერატოში. შემდეგ არის ხმების სელები/ოქტოგებით პირდაპირ მოძრაობაში ზევით და პარალელური სამხმოვანებებით ქვევით; ეს ხმები გადადიან მიქსოლიდიური კილოში ლაბებოლ, ტრიბორდში, შემდეგ კი — მეორე ხმისა და ბანების დუეტში (რვა ტაქტი), აქედან მიქსოლიდიური კილოებისა მი-ბემოლში (ისიც რვა ტაქტი) და სოლ-ში (იგივე).

სიმღერა, მისი მეშვიდე საფეხურიდან მოყოლებული, თავდება ეოლიური კილოთი მი.

ასეთია ეს სიმღერა, რომელიც შეასრულეს ჩემთან მოსურვეს უნივერსიტეტის გურულმა სტუდენტებმა. როგორაც უნდა ცილდებოდეს ის პირველ ვარიანტს, მას მაინც ბევრი რამ საერთო აქვს ამ ვარიანტთან. ყოველ შემთხვევაში სიმღერის ვარიანტი ზედმიწევენით საინტერესოა. (იხ. სიმღერა № 41, იქვე).

### გურული სიმღერები ჭავ. ფალიაშვილის კრებულიდან

1. „აბა დელი“ პატარა ლაშქრული სიმღერაა. იწყება მოკლე მოძახილის შემდეგ, მიქსოლიდიურ კილო ფა-ს IV საფეხურიდან და მეოთხე ტაქტიდან ვადადის თავისი კილოს პირველ საფეხურში (პირველად ტრიბორდში). შემდეგ მიღის მიქსოლიდიური კილოს (საორგანო პუნქტშე) მი-ბემოლური მოდულაცია, ოთხსმოვანებით პირველ ტაქტში, რაც ძალიან იშვიათად გვხვდება, და შემდეგ ბრუნდება თავის პირველ კილოში; თავდება მიქსოლიდიურ კილო მი-ბემოლის II საფეხურის კადანსით. სიმღერა გომოფონურ-პოლიფონიური სტილისა. (იხ. მაგალ. სიმღერათა კრებულში № 3, გვ. 5—6).

2. „მგზავრული“ (გრძელი). სიმღერა ისევე იწყება მიქსოლიდიურ კილო სოლ-ის IV საფეხურიდან, საორგანო პუნქტშე და მესამე ტაქტის დასაწყისში ცოტა ხნით იხრება მიქსოლიდიურ კილო დო-ში. შემდეგ, ისევე, მოდულაცია ტონით ქვევით მიქსოლიდიურ კილოში ფა (საორგანო პუნქტი სამი ტაქტი), შემდეგ — ვადასასელელი ტაქტები მიქსოლიდიურ კილო დო-ში, სადაც ბანში უჩეეულო სკლა კვინტაზე (საორგანო პუნქტი დო); იგი 4 ტაქტს გრძელდება და გადადის თავდაპირველ კილო სოლ-ში, რომელიც მონაცემეობს

ფაკილოსთან (საორგანო პუნქტი სამი ტაქტის ფარგლებში გამზღვდნობით ზევით და შემდეგ ოთხსმოვანებისთანავე საშუალო ხმაში მერვე გვერდი, პირველი ტაქტი). შემდეგ კვლავ ნაცნობი სურათია, ე. ი. მიქსოლიდიდური კილო დო (კიდურ ხმებში საორგანო პუნქტი კვინტაზე, სამი ტაქტი) და კვლავ მიქსოლიდიურ კილო სოლ-ში გადასვლა. შემდეგ კვლავ ხდება მისი მონაცელეობა მიქსოლიდიურ კილო ფა-სთან, დო-სთან (9 გვ.) და ბოლოს — განუწყვეტილი მონაცელეობა ამ სამი კილოსი ზოგჯერ ორხმოვანებით საშუალო ხმაში (გვ. 10). სიმღერა თავდება ყველა სამი ხმის უნისონით მთავარ კილოში, ე. ი. მიქსოლიდიურ სოლ-ში. (იხ. სიმღერა № 4, 6—7—8—9—10 და 11 გვერდებზე).

3. „მრავალყამიერ“. ეფიქტობთ, რომ ეს სიმღერა მოძახილს შემდეგ იწყება მიქსოლიდიურ კილო ფა-ს მეოთხე საფეხურიდან, რომელიც მონაცელეობს VII და 1 საფეხურებთან. სიმღერის დასასრულს მიქსოლიდური კილო ფა გადადის ეოლიურ კილო დო-ს კადან-სში (სამი უკანასკნელი ტაქტი). მოელე პოლიფონიურ სიმღერას აქვს ავრეთვე გომოფონიის მომენტები. (იხ. სიმღ. № 5, გვ. 11).

4. „ინდი-მინდი“. სიმღერა იწყება თემით ბანში იონიურ კილო სოლ-ისა, რომელიც ოთხჯერ მეორდება და ყველთვის გადადის დორიულ კილოში მი, საორგანო პუნქტში, რომელიც იონიურ კილო ლა-ს კადანსში ახდენს მოდულირებას (იხ. პირველი ჩვე ტაქტი). 8 ტაქტის შემდეგ სიმღერის მოდულაცია ხდება ტონით ქვევით, 4 ტაქტის მანძილზე, მთავრდება კვლავ იონიური კადანსით ლა, ხოლო შემდეგ სოლ კადანსით, რომელიც შემდგომ ოთხ ტაქტში მეორდება. რამდენიმე გადასასკლელ ტაქტს შემდეგ ხდება მთლიანად განმეორება სიმღერისა, როგორც დასაწყისში, იმავე კადანსებით, ტონით ზევით და ტონით ქვევით და კიდევ უკანასკნელად განმეორება იმავესი დასკვნითი კადანსით იონიურ კილოში ლა. სიმღერა პოლიფონიური სტილისაა, საორგანო პუნქტის საინტერესო დამატებებით. (იხ. სიმღერა № 6, გვ. 12).

5. „ინდი-მინდი“ (პირველის ვარიანტი). ეს ვარიანტი იწყება მიქსოლიდიურ კილოში ჩე-ბემოლ და ორი ტაქტის შემდეგ გადადის იონიურ კილო სი-ბემოლში. შემდეგ სოლია ბანში, მიქსოლიდიურ კილოში სი-ბემოლ (1 ტემპოში), რომელიც გადადის გაუგებარ დო-

სონირებულ თანხმოვანებებში პირველსა და მეორე ხმებში და შემდეგ მთავრდება მიქსოლიდიურ კილო სი-ბემოლის (დო-სოლ). შემდეგ საფეხურის კადანით. სიმღერის გაგრძელება იმყოფება ამავე მიქსოლიდიურ კილოში სი-ბემოლ, ქვევით კი რეპრიზის შემდეგ, ისევე როგორც ტაქტი 1, მაგრამ 4/4 ზომით. უკანასკნელი ხუთი ტაქტი მთავრდება მიქსოლიდიური კილოთი სი-ბემოლ, გადახრით უკანასკნელ ტაქტში ლა-ბემოლურ მიქსოლიდიურ კილოში, კადან-სით მის მეორე საფეხურზე.

ეს სიმღერა უფრო მეტად გომოფონიური ხასიათისაა, ვიდრე პოლიფონიურისა. (იხ. სიმღ. № 7, გვ. 14.).

6. „დელი თდელი თდელია“. სიმღერა იწყება მიქსოლიდიურ კილოში სოლ, ახდენს მოდულაციას მეოთხე ტაქტში თონიურ კილოში სოლ და მერვე ტაქტზე გადადის ამავე კილოს IV საფეხურში (საორგანო პუნქტის დო ნოტა), მის V საფეხურთან მონაცვლეობით. კადან-სი კი რეპრიზის შემდეგ, მაინც VII—I საფეხურის მიქსოლიდიური კილოსია; სიმღერა გომოფონური სტილისაა. (იხ. № 8, გვ. 15—16).

7. „ვადილა“ მოკლე, მხიარული საცეკვაო სიმღერაა, მიქსოლიდიურ კილოში სოლ. ოსტინატური სელები ბანში და მეორე ხმაში მჯაფით, რიტმულ ხასიათს აძლევენ სიმღერას. სიმღერა თავდება მიქსოლიდიურ კილო სოლ-ის ფრიგიული კადანით. სიმღერა პოლიფონიური სტილისაა. (იხ. № 9, 16—17)\*

8. „ხელხვავი“, პირველი ვარიანტი. სიმღერა „გრძელთა“ კატეგორიას ეკუთვნის, იწყება ეოლიურ კილოში ჩე და მერვე ტაქტზე გადადის მიქსოლიდიურ კილოში დო (ტრიიხორდი გამმულ კინტაზე დო-სოლ და სხვა აკორდები, ექვსი ტაქტის ფარგლებში) და ახდენს მოდულაციას მიქსოლიდიურ კილოში ფა; ორი ტაქტის შემდეგ გადადის მიქსოლიდიურ კილოში სი-ბემოლ, რომელიც თავდება მეორე საფეხურის კადანით (დო-სოლ), ქრომატიული გადახრის (ლა-ბეკარ) მეშვეობით. შემდეგ ხდება გაგრძელება კელავ მიქსოლიდიურ კილოში სი-ბემოლ, სადაც მეორე ხმები ტერციით მიიმართებიან და ოთხხმოვანებას ჰქმნიან. ამ კილოს მეორე ტაქტის ბოლოს ხდება გა-

\* ვინათღან სიმღერა № 10 „ხელხვავი“ ავტორს „უცხო“ პერიოდისა და ის მომღერალთა მიერ გამდომურებული იქნა არა სავსებით ზესტად, ჩევრ გვერდს უფრველ მას და გადავდივართ მისი ვარიანტის ანალიზზე.

დასვლა ახალ მიქსოლიდიურ კილოში ფა, რაც მონაცელეობაშია მიქსოლიდიურ კილოსთან სოლ და გადადის კვარტს სექტაკუტლიში ლა-ზე და სხვა აკორდებში და მონაცელებაშია უკანასკნელ კილოსთან გაბმულა კიდეურ ხევბზე სოლ. შემდეგ კვლავ კვარტს სექტაკუტაკორდი ლა-ზე, რომელიც მონაცელეობს სხვადასხვა აკორდებთან გაბმულ ნოტზე პირველ ხმაში ლა, კონტრაპუნქტების კეინტრურა სვლებით მეორე-მეტე ხმაში, რა ამრიგად, რამდენიმე ტაქტის შემდეგ, სიმღერა თავდება კადანსით ეოლიურ კალო რე-ს კეინტრაში. სიმღერა პოლიფონიური სტილისაა, უკრიმანჭულო. განსუენებულ ავტორის ზოგი მომღერალი ეუბნებოდა, რომ სიმღერა თითქოს ცნობილ „ალი-ფაშას“ ვარიანტს წარმოადგენს, სხვა მცოდნები— რომ იგი ვარიანტია ძველი „ხელხვავისა“, რომელიც სიმინდის რჩევის დროს სრულდება.

ეს სიმღერა თავის რეჩიტატივით საშუალო ხმაში, ყოველ შემთხვევაში მოგვავინებს „ალი-ფაშას“, ვინაიდან „ალი-ფაშას“ ტექსტი, უკველად, უგვიანესი წარმოშობისაა. შეიძლება დაბეჭიოთ ეთქვათ, რომ მის თავდაპირველ რედაქციას „ხელხვავი“ დაედეა საფუძვლად. (იხ. სიმღერა № 11, გვ. 22—23—24).

9. „ალი-ფაშა“. ეს სიმღერა „გრძელთა“ კატეგორიას ეკუთვნის. იწყებს მოძახილი. გუნდი ებმება სიმღერაში იონურ კილოში სოლ, მის შემდეგ, ერთ ტაქტში, არის გადახრა ტონით ქვევით და შემდეგ კადანსი იონურ კილოსი სოლ. შემდეგ ტრიხორდი ლა-ზე მიქსოლიდიურ კილოში ლა (მეოთხე ტაქტში), რომელიც ტონით ქვევით გადადიან მიქსოლიდიურ კილოში სოლ (ორ შემდგომ ტაქტში არის გაბმული ნოტები კიდეულ ხმებში) და ბოლოვდებიან მეორე საფეხურის კადანსით ლა-ში. სიმღერა გრძელდება იმავე მიქსოლიდიურ კილოში სოლ, (სამი ტაქტი), მას მისდევს მოდულაცია ტონით ზევით, მიქსოლიდიურ კილოში ლა, გაგრძელების ერთი ტაქტი; ამას მოჰყვება გარდამავალი ტაქტი მიქსოლიდიურ კილოში ფა-დიეზ, რომელიც ორი ტაქტის ფარგლებში მოქმედებს; შემდეგი სამი ტაქტია მიქსოლადიური კილო ში, გარდამავალი I—I—IV საფეხურებში ნაწილობრივ ეოლიურ კილოში სი, რაც მთავრდება მკვეთრი მოდულაციით მიქსოლა-

დიურ კილოში სოლ-დიეზ. ეს თავდება კადანისით, რომელიც მოდე-  
ლაციას ახდენს უნისონში, როგორცა ჩანს იონიური კილოდან სი.

ეს „ალი-ფაშა“ დიდად განსხვავდება სიმღერების სხვა შემ-  
კრებთა ჩანაწერებიდან მით, რომ მას კრიმანჭული არ ახლავს და  
არც ისე პოლიტონიურია. (იხ. სიმღერა № 12, გვ. 24—26).

10 „პატარა ხაყვარელო“. ამ სიმღერას იწყებს პირველი ხმა,  
მის შემდეგ—მეორე, იონიურ კილოში მი-ბემოლ, რომელიც ამ-  
თავრებენ თავიანთ მოძრაობას მოდულაციით იონიურ კილო სი-  
ბემოლში; იგი შეიძლება ჩაითვალოს ძირითად ნოტად, რომელსაც  
გადაჰყავს იგი ბანზე უფრო შორს. მოდერატოდან ბანი იწყებს ო-  
მის შესრულებას მიქსოლიდიურ კილოში სი-ბემოლ (თითქოს ორი-  
ცე კილოს აერთიანებსო), რომელიც ორი ტაქტის შემდეგ, უერთდე-  
ბა რა გუნდს, მთავრდება, როგორც პირველ შემთხვევაში, კვლავ  
მოდულაციით იონიური კილოს სი-ბემოლში სიმღერის შემდეგი  
პირველი ვარიანტისათვის, რაც განვითარებულია 16 ტაქტამდე, პიუ  
მოსოდე. პიუ მოსოდან მიღის სიმღერის მეორე ვარიანტის შეს-  
რულება, აგრეთვე 16 ტაქტის ფარგლებში, ზუსტად ისეთივე კა-  
დანისით იონიური კილოს სი-ბემოლში.

სიმღერა იუმორისტული შინაარსისაა, კუპლეტური ფორმის,  
პოლიტონურ-გომოფონური სტილისაა, და ამრიცად, მას მხოლოდ  
ერთი მოდულაცია აქვს. (იხ. № 13, გვ. 26—27).

11. „ინდი-შინდი“, დ. არაყიშვილის ფონოგრაფიულ ნაյრებ-  
თაგან, ფიქსირებული შ. მშევლიძის მიერ.

სიმღერას პირდაპირ იწყებს გუნდი, იონიური კილო ფას დო-  
მინატიდან და მტკიცდება მთავარ საფეხურზე.

შემდეგ გაგრძელება ამავე კილოში, ტონიაში და დომინანტა-  
ში, რაც მთავრდება მეუქვე ტაქტზე მიქსოლიდიურ კილო სოლ-ის  
ტრიხორდით: სოლ-დო-რე, შემდეგ ქვევით კი კვლავ თავდაპირეელი  
კილოა, რომელიც ახდენს კადანისირებას ოთხი ტაქტის შემდეგ  
ისევ სოლ-ში და მთავრდება თავდაპირეელი კილოთი.

შემდეგ, 22 ტაქტიდან, მიღის სიმღერის პირველი ვარიაცია. აქ  
ისე, როგორც დასაწყისში (მეშვიდე ტაქტიდან), სიმღერის გამეო-  
რებაა ნახევარტაქტიან რიტმულ შემოკლებით და შემდეგ ცვლილე-  
ბით და სიმღერის რიტმულ განვითარებით 15 ტაქტის ფარგლებში.

კიდევ შემდეგ, უფრო ქვევით, ხდება სიმღერის მეორე განმეორება, განის მცირე პარმონიულ და ოტმულ ცვლილებით და ორტმულ-ი. ლოდიური ფიგურით პირველსა და მეორე ხმებში (რვა ტაქტი), რასაც მოსდევს გადასვლა მიქსოლიდიურ კილოში და, რაც მთავრდება იონიური კილოს ფა კადანით.

კიდევ უფრო ქვევით, მესამე გამეორებისას ამავე კილოში, სიმღერა თავდება დორიულ კილო სოლ-ის კადანით — ტრიბორდით.

სიმღერა პოლიფონიურია, საინტერესოა თავისი კრიმანტულობა, განსაკუთრებით კი — სავსებით ორიგინალური კადანით, რაც უკეთეს დროს უნდა მიეკუთვნოს. (იხ. მაგალ. № 11, დანართში).

#### კ. ფოცხვერაშვილის მიერ ჩაწერილი გურული სიმღერები

12. „რძალი“. სიმღერა იწყება ეოლიურ კილოში ლა, გუნდა კი იწყებს ტონით ქვევით, მიქსოლიდიურ კილოში ფა. შემდეგ სიმღერა მეორდება და თავდაპირველი კილოთი მთავრდება.

სიმღერა იუმორისტული შინაარსისაა, კუპლეტური ფორმის, ცოცხალი, მხიარული. (იხ. სიმღერა № 12, დანართში).

13. „ნანა“ ოთხტავტიანი სიმღერაა, იწყება მიქსოლიდიურ კილოში რე და თავდება მეორე საფეხურის კადანით მი-ზე უნისონში. (იხ. სიმღერა № 13, დანართში.)

#### გურული სიმღერები ა. ბენაშვილის კრებულიდან

ა. ბენაშვილის კრებულშიაც მოთავსებულია ორი გურული სიმღერა, მაგრამ, სამწუხაროდ, არაა აღნიშნული, სად მღერიან მათ.

ერთი მათ შორის „ოსა იავარადო“ ისევე იწყება, როგორც ცორხოვანი მეგრული სიმღერა „ოისა იავარა“, მხოლოდ ეს გურული სიმღერა უფრო განვითარებულია, ამასთან სამხმოვანია. მისი კილო მიქსოლიდიური რე. დივზი გასაღებთან კრებულში გამოტკიცებულია. (იხ. სიმღ. № 14, დანართში).

მეორე სიმღერა „დელი თდელა“, ორგუნდოვანია, კრიმანტულთან მონაცემეობს, მიმდინარეობს ეოლიურ კილოში ლა. მასში გვხვდება შაბლონური ტერციების მომენტები და პირველი გუნდის პარტიის ზუსტი განმეორება მეორე გუნდის მიერ. სიმღერა თავდება

პა კილოს მეშვეიდე საფეხურის კადანსით, კვინტაზე. (იხ. სიმღერა № 15 დანართში).

შესამე სიმღერა, ორხმოვანი, მოყვანილია საგუნდო სიმღერაზე თა ჯგუფში № 14-ით.

16. „ძველებური გურული აბადელია“ ჩაწერილია დ. ნ. შეედოვის ფონოგრამიდან.

მიუხედავად ფონოგრამის დიდი ნაკლისა, ე. ი. ცუდი სმენადობის და არა საესებით სუფთა ინტონაციებისა, სიმღერა მაინც გახმოვანებულა. ის მთლიანად შედგება ერთი სიტყვისაგან — აბადელა, რომელიც ახლა მინამღერის უბრალო სიტყვას წარმოადგენს, მაგრამ ძველ დროს მას თავისი მნიშვნელობა ჰქონდა, ისე როგორც მის მსგავს სიტყვებს: დელა, ვოდელა, რერა, ვორერა, აბარერა.

სამწუხაროდ, დ. ნ. შეედოვი, როგორც ქართული ენის არმცოდნე, არ აღნიშნავს, თუ რომელ მარცვლებზე ხედება ესა თუ ის მუსიკალური ფრაზები, რომლებიც სამწუხაროდ თავიდან ბოლომდე ჩაწერილია მხოლოდ ნოტებით, მარცვლები ფიქსირებული არ არის და ეს მისი დიდი ნაკლია.

სიმღერას იწყებს მოძახილი, მესამე ტაქტში კი ებმება გუნდა, ტრინორტით, მიქსოლიდიურ კილოში ლა. სიმღერა განუწყვეტლავ პოლიფონიურია. მეთოთხმეტე ტაქტიდან იგი მეორდება, გადადის მეოთხე ტაქტზე დორიულ კილოში ლა და ორი ტაქტის შემდეგ ბრუნდება თავის თავდაპირველ წყობაში. აქ, მეოდეართე ტაქტზე დან, მთელი რიგი განმეორებაა, როგორც წინა ნაწილში იყო, ზოგიერთი ცვლილებებით. სიმღერა თავდება ყველა სამი ხმის კადანით უნისონში, მიქსოლიდიურ კილოში ლა. (იხ. შენიშვნა № 16 დანართში).

გრ. ჩხილების მიერ გურულ სიმღერათა ჩანაწერებიდან ჩვენ გადავათვალიერეთ „აღლილო“, რომელსაც წინათ შობის წინ ასრულებდნენ. ეს არის ერთ-ერთი საინტერესო ჩანაწერთაგანი გურიაში და, შეიძლება ითქვას, პირველად ქვეყნდება.

მას იწყებს პირველი ხმა იონიურ კილოში სი-ბემოლ, რის შემდეგ სიმღერაში ებმება გუნდი, რომელიც ტაქტის შემდეგ იხდებს მოდულაციას მიქსოლიდიურ კილოში ლა-ბემოლ, რაც ამავე კილოს ფრიგიული კადანით თავდება. შემდეგ არის ახალი კილო — მიქსო-

ლიდიური სოლ, რომელიც, ჩეენი აზრით, მონაცელეობს ფრინველების კილოსთან ლა და, ალბათ, მიქსოლიდიურთან, მის მეორე სოლ და ფეხერზე შეჩერებით. შემდეგ სიმღერა, სი-ბემოლსა და მიბუ შოლზე ბგერათა ცელალების წყალობით არ იძლევა ორი ტაქტის ზანძილზე კილოს ზუსტად გამოცნობის საშუალებას, რომელიც ეოლიურ კილოთი სოლ თავდება. ამ კილოს შემდეგ ჩეენ ვხედავთ ( $\frac{3}{4}$ — $\frac{4}{4}$  ზომების შემდეგ), რომ სიმღერა აღის ტონით ზევით, მიქსოლიდიურ კილოში ლა, ერთი ტაქტი, რაც იმავე სახელწოდების ეოლიურ კილოში ლა გადადის, ამ კილოს ფრიგიული კადანსით.

შემდეგ,  $\frac{4}{4}$  ზომიდან კვლავ მეორდება შეელი სურათი, ე. ი. სიმღერა სრულდება მიქსოლიდიურ კილოში სოლ, რაც გადადის ფრიგიულ კილოში ლა და მიქსოლიდიურში ფა, როგორც ზევით იყო და ზომიდან  $\frac{3}{4}$ — $\frac{4}{4}$  სიმღერა მეორდება ისევე, როგორც ზევით იყო, მიქსოლიდიურ კილოში ლა და იმავე სახელწოდების ეოლიურ კილოში ლა, ამავე კილოს ფრიგიული კადანსით. შემდეგ ზომა  $\frac{4}{4}$ -დან ივივე სურათია, ე. ი. მიქსოლიდიური კილო სოლ მონაცელეობს ფრიგიულ ლა-სთან, რომელიც ტაქტის უკანასკნელ ნოტებში ახდენს მოდულაციას (მი-ბემოლის წყალობით) მიქსოლიდიურ კილოში ფა; მაგრამ შემდეგ, ნოტა მი-ს მეორე მეოთხედი და ჯორდი სოლ-რე-სოლ მიქსოლიდიურ კილოზე სოლ მიგვითოთებენ. ამ კილოში მიდის სიმღერის გაგრძელება; ზომიდან  $\frac{3}{4}$ — $\frac{4}{4}$  კვლავ ძველი სურათია, ე. ი. სიმღერა იწევს ტონით მაღლა მიქსოლიდიურ კილოში ლა, შემდეგ კა, ზომაში  $\frac{4}{4}$ , გადადის იონიურ კილოში და.

შემდეგ სიმღერა სრულდება იმავე მიქსოლიდიურ, ფრიგიულ და სხვა კილოებში და თავდება სრულიად ახალი კადანსით, ნოტით ჩი (მიქსოლიდიურ კილოს რე მეორე საფეხსურით).

ახლა ჩეენ შეგვიძლია შევაჯამოთ ის, რაც გურულ სიმღერებში ითქვა.

გურულ ხალხურ სიმღერას, ისე, როგორც ყველა ქართველურ ტომთა სიმღერას, აქვს კილოს წყობა.

ამ წყობაში (სტრუქტურაში) მიქსოლიდიური კილო სკარბობს ეოლიურს, დორიულს, იონიურს და სხვა კილოებს. რა თქმა უნდა, დასავლეთ ევროპის საეკლესიო კილოებთან მათ მხოლოდ და მხოლოდ საერთო სახელწოდებები აქვთ.

ნშირად სიმღერაში ყველა სამი ხმა უნისონში მღერის, პირვე-  
პირ მოძრაობაში (სიმღერა № 19, „ე-ი-ა-ვა-ე“). ბანებს აქვთ დამა-  
ხასიათებელი სვლები ტერციებით ქვევით, სეპტიონტებით  
(სიმღერა № 35-ში), სეპტიონტებით (სიმღერა № 33 ბოლოში).  
გასო-ოსტინატური სვლები ხშირია სიმღერაში (იხ. № № 16—36—  
38). ასევე ხშირად კიდური ხმები სიმღერაში კონტრაპუნქტულადაა  
მოცემული, საშუალო ხმას კი მიძყავს რეჩიტატივი ან გაბმული ნო-  
ტი (იხ. № 24, პიუ მოსოში).

ზოგიერთ სიმღერაში წამყვან როლს ასრულებს მოძახილი,  
მაგალ., სიმღერებში: № 36, „რაშოვრერა“, ნაწილობრივ დასაწყის-  
ში, № 16, „გურულ მაყრულში“ და სხვ.

მოკლე სიმღერებს მეტწილად კუპლეტური ფორმა აქვთ.

სიმღერები იყოფა ერთონალურზე, ორთონალურზე და მრა-  
ვალტონალურზე. მათში პოლიფონიური სტილი სჭარბობს.

რაც შეეხება კრიმანტულს, იგი როგორც განვითარების უფრო  
რთული მელოდიური ხაზი სიმღერაში, ნაწილობრივ როგორც ელ-  
ფერი, უაპველად გურულის მუსიკალური აზროვნების გაფართო-  
ებას, გამდიდრებას წარმოადგენს. ასეთ მოვლენას ჩვენ ჯერ არ  
ვხედებით არა მარტო ქართველურ შტოთა სიმღერებში, არამედ  
ჩვენს ირგვლივ მყოფ ხალხთა სიმღერებშიაც და მივვაჩნია რომ ეს  
შემოქმედება არის მეტად ღრიგონალური ხასიათისა, რაც ეკუ-  
ვნის გურულებს და შესაძლებელია მეგრელებსაც. მათ სიმღერებში  
ჩვენ აბსოლუტურად ვერ ვხედავთ სხვა რომელიმე ხალხის გაეღ-  
ნას. ერთადერთი, რასაც ჩვენ ამ მხრივ ვხედებით — ეს არის ზოგ-  
ჯერ პირველი და მეორე ხმების სვლებში ეგრეთ წოდებული შაბლო-  
ნური ტერციები, რომლებსაც ვერ იუხვია გვერდი გურულმა ხალ-  
ხურმა სიმღერამ, მიუხედავად მთელი თავისი თრიგონალობისა. ეს  
სვლები ყოველ ნაბიჯზე გვხედება, და, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისინი  
შეიძლება უცხოური კულტურიდან მოდიან.\*

კრიმანტული ისე, როგორც მთელი გურული პოლიფონის გა-  
ნვითარება, მოწმობენ ხალხის მხნე, ნებისყოფით აღსავს ცხოვრე-

\* ახალ ქართველ საბჭოთა სიმღერაში ამ კომბინაციაშ მოქალაქეობრიობის სრუ-  
ლი უფლება მოიპოვა და ახლა ძნელია წარმოიღვინოს აღაშიანვა სიმღერა სხვა  
შესრულებით.

ბას, რაც, უნდა ვიფიქროთ, დაკავშირებულია შრომით აღმავლო. ბასთან და სოფლის მეურნეობის განვითარებასთან, მოსახლის სიცახეებთან — აყვავებულ მინდვრებთან, ბალებთან და უწინებთან, რამაც, შესაძლოა, დააპირობა კიდევაც გურულის მუსიკალურ შემოქმედებაში მომხდარი ცვლილებები. უნდა ვიგულისხმოთ, რომ, ბუნებრივმა პირობებმაც, ე. ი. გურიის მთელი ბუნების არაჩერებულებრივმა სილამაზემ რაღაც ერთგვარი დამატების სახით შეაქცია ს საერთო სურათი. კრიმანჭულის ზოგი ფორმა, როგორც მაგალითად, „მაყრულში“ № 7 (გვ. 230) ფორმლაგი ერთ ნოტაზე, პირდაპირ ჩიტების გალობის მიბაძვის წარმოადგენს (იხ. მაგალითები № 17, დანართში), ხოლო სიმღერაში „შავი შაშვი ჩიოდა“, მესამე ხმის პარტიაში, ძალის ყეფის უშუალო ხმათმიმბაძეელობაც კია. როგორც ჩანს ეს მონადირეთა სიმღერაა.

ამრიგად, კრიმანჭულის შექმნის პროცესში ბუნებრივი ფაქტორების გავლენამ თავისი როლი შეასრულა. მაგრამ, უკვეელია, რომ ამ მუსიკალური კულტურის განვითარების საფუძველს, უწინარეს ყოვლისა, შრომითი პროცესი შეადგენს, რასაც მოწმობენ: საარტელო სიმღერა „ნადური“, სიმინდის გარჩევის სიმღერა „ხელხვავი“, ხე-ტყის გადაზიდვის სიმღერა „ელესა და ჭოპოლა“ და გლეხთა სხვა სიმღერები. როგორც ზევით აღვნიშვნეთ, ეკონომიკურმა ცელია ბებებმა დააპირობეს ცელილებები ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებაშიაც.

არსებობს აზრი, რომ გურულების კრიმანჭული საინსტრუმენტო მუსიკის გავლენით შეიქმნა, მაგრამ ჩენ ჯერ არ ვიცნობთ გურულთა ისეთ მუსიკალურ ინსტრუმენტებს, რომლებსაც არმელიქ სახით შეძლებოდათ გავლენა მოეხდინათ სიმღერაშე ამ მხრივ.

ამრიგად, თუ ჩენს დებულებას დავუმატებთ საერთოდ გურულების უნარს საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენათა სწრაფად ათვისებაში, ავიღებთ თუნდ 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის ამბებს, რამაც გურიაში არაჩერებულებრივი გაქანება პოვა და გურულებმა შეძლეს სამხმოვან გურულ სიმღერად გარდა ემნათ ფრანგული მარსელიეზა, (იხ. სიმღერა № 40 „დილა ვო დილა“), თუ მივიღებთ მხედველობაში გურულების ენერგიას, სის-

ჭრაფეს, ყოველივე ახლის დაუყოვნებლივ ათვისების უნარს, უეჭ-  
ფელი გახდება, რომ ყოველივე ამან მათ შუსიკალურ შემოქმედება-  
ზეღაც იქონია გავლენა, რაც გამოიხატება სიმღერების გაფართოება  
და გართულებით, ახალი მელოდიური ხაზის — კრიმანტულის წარ-  
მოქმნით და, აგრეთვე, სიმღერის განვითარებით პოლიფონიური  
მიმართულებით ყველა სამ ხმაში.

აი, რისი თქმაც შეგვიძლია ჯერჯერობით.

---



ლ ა მ ა გ ი ძ ა ნ ი

სანოტო მაგალითები



A musical score for 'The Red Cossack' featuring four staves of music with lyrics in Georgian. The score includes vocal parts for soprano, alto, tenor, and bass, along with an accompaniment part. The lyrics describe a scene of conflict or a call to arms, mentioning 'red' and 'black' soldiers.

\* ბანი აქ ცუდად ისმის ფონგრაფში. ლაშერილის სიმღერის შემდგომი გაღმი-  
ცების საუბრებულებები. \*-ით აღნიშნულ ა, შედარებით ტ-პ-თან, ხმითვანებს სი-  
ძემოლსა და სი-ს შეუა, ხოლო მი ბევრა მი-ბემოლსა და მი-ს შეუა.

The image shows a page of musical notation from a score. It consists of five staves of music, each with a treble clef and a key signature of one sharp. The lyrics are written in a traditional script below the notes. The first staff has lyrics: 'ଶୁଣ୍ଟା ଯାଇଲା ଦେଖିଲା ହାତ ହାତ ହାତ ହାତ'. The second staff has lyrics: 'କାନ୍ଦିଲା କାନ୍ଦିଲା କାନ୍ଦିଲା କାନ୍ଦିଲା କାନ୍ଦିଲା'. The third staff has lyrics: 'କାନ୍ଦିଲା କାନ୍ଦିଲା କାନ୍ଦିଲା କାନ୍ଦିଲା କାନ୍ଦିଲା'. The fourth staff has lyrics: 'କାନ୍ଦିଲା କାନ୍ଦିଲା କାନ୍ଦିଲା କାନ୍ଦିଲା କାନ୍ଦିଲା'. The fifth staff has lyrics: 'କାନ୍ଦିଲା କାନ୍ଦିଲା କାନ୍ଦିଲା କାନ୍ଦିଲା କାନ୍ଦିଲା'.

ଶ୍ରୀନିବାସ ପଟ୍ଟନାୟକ

#### 4. ඉ. නිරායාරූප සේවක ලේඛන.

၅၈၁

*Allegro non troppo*

3. ගුණයුතුවෙන් සිදු කළ ත්‍රිත්වය.

11

11

6565.

### **Andante**

A musical score for 'Baa Baa Black Sheep' in 2/4 time. The top staff shows the melody in English: 'Baa baa black sheep have you any wool?'. The bottom staff shows the same melody in German: 'Baa baa schwarz Schaf hast du irgendwo Wolle?'. The lyrics are written below the notes.

ოსა იავარალო.

ა. ბენაშვილის მიერ  
აუ მუშ. სომხურები.

### Allegro vivo

Musical score for three voices (I, II, III) in common time, treble clef, key of B major. The lyrics are in Italian.

I: *on - bo*      *on = Bo - Co*

II: *-*      *o . o . 3o . 6o ,*      *da*      *o . o . 3o . 6o ,*      *da*

III: *-*      *p p p p*      *p -*      *p p p p*      *o*

ლეզი ოდენა.

**Larghissimo Allegro.**

A musical score for three voices. The top staff is soprano, the middle staff is alto, and the bottom staff is bass. The lyrics are as follows:  
Soprano: "O'er the land of the free and the home of the brave"  
Alto: "We have confidence in the word of our God and the strength of our arms"  
Bass: "And the right which we hold as self-evident that all men are created equal, that they are endowed by their Creator with certain unalienable rights, that among these are life, liberty and the pursuit of happiness."  
The score includes dynamic markings like 'f' (fortissimo) and 'p' (pianissimo), and a tempo marking 'P'.


გურული ქედი აბადელა.

ჩ. შეკორის  
მუსიკი

Allegro non troppo

The musical score is for two voices: Soprano (top) and Bass (bottom). The key signature is G major. The time signature is 2/4. The vocal parts are separated by a double bar line with repeat dots. The music includes dynamic markings such as forte (f), piano (p), and sforzando (sf). Articulation marks like accents and slurs are also present. The bass part features several sustained notes and rhythmic patterns.

\* ეს სიმღერა, ჩემი შენდუღებით, სრულებით არ ფიცხვა ჩემს საფორტეპიანო წყობას (ჩემი შენიშვნა, დ. ა.). 1) ბანი აქ ცუდად ისმის ფონოგრაფში, დაწერილი სიმღერის შემღებით გაღმოცემის საფუძვლზე. 2) ნოტა სი ცუდად ისმის



ფონტენელი. 3) ბარი ცუდად ისმის. 4) ტენორი აქ აკეთებს პორტაშენტოს  
 5) სოლ ოდნავ მაღლა სმოვანებს. 6) დო-დოეზი ოდნავ დაბლა სმოვანებს. 7) I ტე-  
 ნორი ცუდად ისმის. 8) ამ და შემდგომ ტაქტს I ტენორი ოდნავ დაბლა ასრუ-  
 ლებს, ე. ი. არა შინონდა ინტონაციით.

“კრიმანჯული” სახელი.

1.

2.

3.

4.

5.

6.

რედაქტორი პ. ხუჭავა  
ტექსტურაქტორი თ. შაშუაჩვა  
კორექტორი თ. სვანტიძე

---

გადაეცა წარმოებას 26/X-53 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 31/V-54 წ.,  
ანაზუობის ზომა  $6\times9$ , ქაღალდის ზომა  $60\times81$ ,  
ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 3,5.

ნო 00774

ტირაჟი 2100

ზედ. № 2440

---

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს პოლიგრაფიული მრეწველობის,  
გამომცემლობებისა და წიგნით ვაჭრობის საქმითა მთავარ სამიართებელის  
სტამბა № 2, თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5

---

Типография № 2 Главного Управления по делам полиграфической  
промышленности, издательств и книжной торговли Министерства  
культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5.

9560 2 856.



Проф. Д. АРАКИШВИЛИ

О ЛАДОВОЙ СТРУКТУРЕ  
НАРОДНЫХ ПЕСЕН  
ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Издательство „Хеловнеба“

Тбилиси  
1954